№

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ —2 1883—1901 15—30 იანვარი.

შინაარსი:

საილუსტრაციო განყოფილება: მეოცე საუკუნის პირველი ახალი წელიწადი. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—ფიქრები ახალი წლის მო.—ფიქრები მე-XIX ტე საუკუნის დასრულების შესახებ.—ექიმის საუბარი გულის ხმიერ მკითხველთან ექიმი ვ. ღ—აა.—ერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატეტის კრება ქუთაისში 15 დეკემბერს.—სინიდისის აღსარება (ლექსი) ლ. აძის.—მოთქმა (ლექსი) ქაიხოსრო გელოვანის.—გლეხი (ლექსი) მისივე.—ინგლისის კოროლევა ვიქტორიას გარდაცვალება.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და აღზრდა ქრისტიანობრივ საზოგადოებაში. და კეთილ-ზნეობაზე: ხმა მაცხოვრისა ეკკლესიის მწყემსისადმი-მოძღვრება, დასარიგებლად იმ მრევლთა, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ჩუვაშების ენაზე ღვთის მსახურების შემოღებისა. ედაქციის პასუხი — განცხადებანი.

მეოცე საუკუნის პირველი ახალი წელიწადი.

(X)

გათავდა ცხრამეტე საუკუნე და დადგა არა მარტო ახალი წელიწადი, არამედ ახალი საუკუნ—ორეო ბედნიერი ვართ და ბედნიერ კიდეც—ეიც-კრატრება ჩვენ, რომელთაც გვიცხოვრ—ცრამეტე და მეოცე საუკუნეში. შემოვევინატრება მისთვის, რომ ჩვენ ვიცით მეცხრამეტე საუკუნის ისტორია კაცობრიობისა, ვიცით, რითაც ისახელა თავი ამ მეცხრამეტე საუკუნემ და რაც დაუტოვა მეოცე საუკუნეს ანდერძად. ჩვენ ადგილი არ გვექნება, რომ მოუთხრათ მკითხველთ მთელი კაცობრიობის ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა. ვიტყვით მხოლოდ მოკლეთ, რომ სწორეთ მეცხ-

რამეტე საუკუნე იყო ის დრო, როცა კაცმა შეიგნო, რომ ის არის უფალი ქვეყნისა და ქვეყანა აქვს მას მინიჭებული საკეთილდღეოდ და სიმდიერად. ყველაფერი მზად არის ემსახუროს კაცს, თუ კი იგი მიხვდება და მოიხმარს ყოველივე მას, რასაც აძლევს ბუნება. გამოგონებულია ყოველივე საშუალება, რომ კაცმა მომეტებული სარგებლობა გამოიტანოს ბუნებისაგან. სწორედ სასწაულებრივი საქმეები ხდება ქვეყანაზე. მაგრამ სამწუხაროდ, რამდენათაც გონებით განვითარდა კაცი, იმდენად სარწმუნოებით დასუსტდა და ზნეობით დაქვეითდა. მეცხრამეტე საუკუნემ ამ მხრით ხალხი დააფიქრა. მშვენიერმა და გაუჯერველმა ცხოვრებამ ვერ დააკმაყოფილა კაცობრიობა. უმეტესმა სიამოვნებამ უმეტესი სარჯი გამოიწვია, მაგრამ კმაყოფილება მაინც ვერ ნახა. ნივთიერად გამდიდრდა კაცი, მაგრამ სულიერად გადატაკდა იგი. იმედია მეოცე საუკუნე აღაყენებს ამ ნაკლს.

ჩვენ თავი დავანებოთ მთელ კაცობრიობის ისტორიას, ჩვენო ძვირფასო მკითხველო და ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ჩვენ საქართველოზე, ჩვენ ქართველებზე. რით ისახელა თავი ქართველობამ მეცხრამეტე საუკუნეში? ბევრი ცვლილება მოხდა ამ მეცხრამეტე საუკუნეში ამ ჩვენ საწყალ ქვეყანაშიც. საზოგადოდ ევროპიული განათლება შემოვიდა და ცოტად თუ ბევრად გავრცელდა, ცხოვრება გაადვილდა და ამისათვის ფუფუნებითი ცხოვრების მსურველნი გამრავლდნენ. შესამჩნევად გამრავლდა უსაქმობა და ზარმაცობა, ადრე დაწოლა და გვიან ადგომა, დღე ძილი და ღამე მღვიძარება, ბანკებში მამულების დაგირავება და დავალიანება, ერთმანეთ შორის ჩხუბი, მტრობა და შურიანობა, გაუტეხლობა და საძაგლის შეძინება.

მეცხრამეტე საუკუნეში გამ[illegible] ნაირი ცუდი საქციელი[illegible] ნაოფად მოიტანა ფარისევლო[illegible] თობა, ორპირობა და თილისმ[illegible] თვის ისე საგრძნობელი არ ყ[illegible] სამწუხარო მოვლენანი სხვაგან[illegible] ჩვენ მცირე-რიცხოვან ქართველთ[illegible]

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მ[illegible] დილების შემდეგ მაინც ვისწავლ[illegible] და ავერიდებით ყოველივე მას, რაც ჩვენთვის, შევიგნებთ ერთგულად და[illegible] ევარულობით საქმიანობის სარგებ[illegible]

ჩქვენი ვალია, საყვარელნო[illegible] აღვიძაღლოთ ხმა ამისთანა[illegible] შევაჩვენოთ ბორტი სული, [illegible] ჭბადავს ჩვენში შურსა და მტრ[illegible] მტერთა სასიხარულოდ და ჩვენ[illegible] ღუპავად. ვის მოსთხოვს მაცხოვარ[illegible] მეორედ მოსვლის დროს სამწესოთა[illegible] სელობისათვის, თუ არა მწყემსთა? ჰასუხის მგებელი ღვთის წინ[illegible] როგორც მოძღვარი, რომ ყოველივ[illegible] ხმარობდეს სამწესოთა შორის ჯეშმარ[illegible] სტიანული სიყვარულობის დამყარ[illegible] თუ არა მოძღვარნი? აი რაზე უნდ[illegible] რობდეთ და ვგონებდეთ ამ ახალი [illegible] და ახალი წლის დაწყების დროს, [illegible] რებოდეთ უფალსა მოგვხედოს მან [illegible] ლად წარმართოს ჩვენი ცხოვრება.

დეკ. დ. დამბ[illegible]

ფიქრები ახალი წლის გამო.

ჩვეულებად არის ხოლმე შემოღებული ახალი წლის მილოცვა და ყოველთვის, როდესაც ძველი წელი მიწურვისაკენ მიდის, ყველა ახალს წელს რაღაც გამოურკვეველის სიხარულით ელის, თითქო მისგან მოელის რაღაც განახლებას, განსხვავებულს, მანამდე მიუწდომელს ბედნიერებას; მით ნუგეშობს თავს, ვითომ ყოველ-გვარი მწუხარება, ტანჯვა-წვალება და ბედის უმადურობა ამ ძველ წელთანვე მიიმალება განვლილ დროთა წყვდიადში, და ახალს-კი აღარ მოჰყვება! ამ მუდმივსა და განიადაგებულს თავის-თავის მოტყუებაში მიდის დრო. წელიწადი წელიწადს ებმის და ამნაირად ილევა ის წუთის-სოფელი, რაიც ადამიანს აქვს მონიჭებული ქვეყნად საცხოვრებლად.

ერთის შეხედვით, თუმცა უსაფუძვლოდ ეჩვენება ადამიანს ეს, მაგრამ მეორეს მხრით ამასაც აქვს თავისი კარგი მნიშვნელობა. ადამიანისათვის საჭიროა ხან-და-ხან ასეთი ძლიერი განსხვავებული წუთები, აღმაფრთოვანებელი იმედითა და მოლოდინით. ეს რაღაც გამოურკვეველი გრძნობა თითქოს ავიწყებიებს მას ცხოვრების მრავალ ჭირ-ვარამის სიმძიმესა და სიმწარეს. ამ გარდამავალ ჭდეს ადამიანი შესასვენებელ წერტილად უყურებს, რომლის შემდეგაც მოელის სულ სხვა, ახალი არსებობის დაწყებას. მაგრამ მალე რწმუნდება იგი, რომ ეს მხოლოდ თავის მოტყუება არის, რომ ამ ჭდეს მხოლოდ კალენდრისათვის აქვს მნიშვნელობა და სათვალავისათვის, და არა მისი ცხოვრებისათვის. ამნაირად გრძელდება ისევ თორმეტ თვეს მისი არსებობის ერთ-ფეროვანი ჯაჭვი, რომ ერთხელ იელვოს კიდევ წუთიერმა იმედმა ცოტას ხნით და ხელ-ახლად ისევ ჩაქრეს...

თუმცა ამას თითქმის ყველა კარგადა ჰგრძნობს, მაგრამ მაინც ჩვეულებად არის შემოღებული ამ ახალი წლის მილოცვა, ახალის სურვილებითა და ნატვრით შემკული. ეხლანდელი წელი განსხვავებულიც-კი იყო, რადგანაც, მარტო ახალი წელი-კი არა, ახალი საუკუნის დასაწყისი არის იგი. ჩვენც გვმართებდა მისალოცი სიტყვების წარვლენა ჩვენ მკითხველთადმი ამ ღირს-შესანიშნავი ახალი წლის შემოსვლის გამო, მაგრამ არ გვემარჯვება, რადგანაც ეს მაშინ არის კარგი, როცა გული სიხარულითა და აღტაცებით არის აღჭურვილი. მაგრამ ჩვენი ცხოვრების შემხედვარეს, ჩვენი საზოგადოების მდგომარეობის მხილველს და თვალ-ყურის მადევნებელს, განა შეიძლება სიხარული და აღტაცება დაეტყოს?!. მართალია, შეიძლება კერძო, პირადი სასიხარულო ყოველ ქართველს, ყოველ ოჯახს ჰქონდეს, მაგრამ საზოგადო, საერთო სიხარული-კი ყოვლად შეუძლებელია! ჩვენ იმდენი რამ გვიჭირს, იმდენი რამ სამწუხარო გვაქვს და სავალალო, რომლის ზოთვლაც-კი გაჯერებს მსმენელს. მაშ რაღა მოლოცვა დაგვშვენდება ამ ახალი საუკუნის?!

ღარს-შესანიშნავია ეს საუკუნე, რა თქმა უნდა! და უფრო ღირს-შესანიშნავი იქმნება ალბად ახალი, მეოცე საუკუნეც. რადგანაც წინმსვლელობა ამ ახალსაც ხვდება წილად, და ეს საუკუნე გაასწრებს კიდეც ალბად მეცხრამეტეს—უნდა ვიქონიოთ ეს იმედი. დიდი არის მეცხრამეტე საუკუნის საკაკობრიო ისტორია ყოველ-მხრივად და მისი აღწერაც ბევრის წილად უფრო ძნელი და რთულია წინანდელებზე. მაგრამ, იმედია, გამოუჩნდებიან მასაც ღირსეული მემატიანენი, რომელნიც ვრცლად დაასურათებენ მას. (ოღონდ ჩვენ-კი უსაცილოდ გამოკლებული ვიქმნებით შიგ—ამას აღარ უნდა ეჭვი!) უთუოდ აღნიშნული იქმნება მეცხრამეტე საუკუნის კვალი წარუხოცელად შემდეგ დგმათათვის. ბევრი უდიადესი და უგონიერესი ნაჭირნახულევი, შენაძენი და აღმონაჩენი დაამშვენებს მის სრბოლას, მაგრამ ბევრი ამაზრზენი, ქვენა უსამართლობა, გაუტანლობა, მტრობა და ბიწიერება დააჩრდილებს მისს ბრწყინვალებას. რასაკვირველია, პირველი უფრო მეტი იქმნება მეორეზე, მაგრამ მაინც საკმაო ნაკლად გაჰყვება მეორეც...

როგორი ღა იქმნება მეოცე საუკუნე? ამის თქმა წინდაწინ, რასაკვირველია, შეუძლებელია. შეიძლება უმჯობესიც იქნეს და შეიძლება უარესიც წინანდელთან შედარებით, მით უფრო, რომ კაცობრიობას წინ-მსვლელობასთან ერთად ბევრი უცნაური დაქვეითებაც მოსდევს. მაგრამ მაინც უნდა ვიქონიოთ იმედი, ეგებ მეოცე საუკუნემ გაასწოროს ცოტად მაინც განვლილ საუკუნის ნაკლი, ეგებ ახალმა შესძლოს და ძველის უსამართლოება და უკუღმართობა სამართლიანობად და წაღმართობად შესცვალოს?! ვინ იცის, რა ნაყოფი მოელის მას და რა მოულოდნელი იდუმალებით არის აღსავსე მისი წყვდიადით მოცილი წელიწადები?! ეს შეიძლება მხოლოდ ოცნებამ წარმოიდგინოს, და ნამდვილს-კი თვით მომავალი გვეტყვის. იმედი-კი რაც უნდა იყოს სასარგებლოა!..

ფიქრები XIX საუკუნის დასრულების შესახებ.

ღეს მე და თქვენ, პატივცემულო მკითხველო, სამუდამოთ უნდა გამოვესალმოთ XIX საუკუნეს. ამომავალი ცისკარი XX საუკუნისა გვავალებს ჩვენ თვალი გადავავლოთ XIX საუკუნეს და შევიტყოთ, მივიღეთ თუ არა წარსული საუკუნისაგან ყოველივე ის, რაც საჭიროა კაცის ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის, თუ კიდევ რამეს უნდა ველოდეთ მომავლისაგან?

წარსული XIX საუკუნე დიდხანს დარჩება ჩვენს ნახსოვრობაში, ვინაიდან XIX საუკუნემ ბევრი რამ მისცა კაცობრიობას მისი ქვეყნიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად; მართლაც ამ წარსულმა საუკუნემ იმდენი რამ შესძინა კაცობრიობას, რაც არ შეუძენია ყველა წარსულს საუკუნეებს ერთად. მეცნიერების წყალობით მხოლოდ მე-XIX საუკუნეში შეიქნა კაცი სრული ბატონი ბუნებისა. რკინის გზებმა, რომლებიც გაყვანილია მთელი დედამიწის ზურგზე, ტელეგრაფმა და ტელეფონმა, რომელნიც ერთი თვალის დახამხამებაში გადაცემენ ჩვენს აზრს ერთი კუთხიდამ მეორე შორეულს კუთხეში, ჰაეროსტატმა, რომლის წყალობით მეფენი ქვეყნისანი იმორჩილებენ სხვა-და-სხვა მხარეებს და სხვა-და-სხვა გვარმა მაშინებმა და ელექტრონულმა იარაღებმა, რომლებიც საადვილოდ ხდიან საძნელო სამუშაოებს, შესამჩნევად გაადვილეს კაცის ცხოვრების ეკლიანი გზა. მეცნიერება, რომელსაც ნათელი შეაქვს კაცობრიობაში, ანიჭებს კაცს ზეციურ და ქვეყნიურ სიკეთეს. და თუ კი ყოველივე ეს ასეა, მაშინ ჩვენ ყველამ, რომელნიც ვცხოვრობთ მე-XIX საუკუნის დამლევს, გულ-დამშვიდებით უნდა გავიმეოროთ სახარებაში მოხსენებული მდიდრის სიტყვები: სულო! ბევრი სიკეთე გაქვს; ჭამე, სვი და იხარე (ლუკა XII, 19). მართლაც, კაცი ჭამს და სვამს, მაგრამ არ ხარობს კი და არ ხარობს მიტომ, რომ სიხარული გაურბის მას.

ჭეშმარიტად, როცა თვალს გადაავლებ კაცობრიობის აწინდელ ცხოვრებას, ადვილად შენიშნავ, რომ ეს ცხოვრება გარემოცულია რაღაცა გამოურკვეველი ბურუსით. ამის დამამტკიცებელი საბუთები მუდამ ჩვენს თვალ წინ მეორდებიან: თვით მკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად შეიქნა, ისე გაზეთს ვერ წაიკითხავ, რომ შიგ არ ამოიკითხო: ამა და ამ კაცმა ანუ ქალმა თავი ჩამოიღრჩო, ან წყალში დაიღრჩო, ან ფანჯრიდამ გადავარდაო. და ასეთ სამწუხარო მოვლენათ უფრო იქ ვნიშნავთ, სადაც კაცობრიობა უმეტესად განათლებულია. რა არის მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა? რა არის მიზეზი, რომ კაცი ასე ადვილად ეთხოვება ღვთის მიერ ნაბოძებ სიცოცხლეს, რომელსაც დღევანდელი განათლების წყალობით უმეტესი ფასი უნდა ედვას? და უმეტესად უნდა ვეტრფიალებოდეთ?

ამ საკითხის პასუხს ჩვენ ადვილად გავიგებთ, თუ ჯეროვანად დავაკვირდებით დღეინდელ განათლებას. კაცობრიობამ თავისებურად გაიგო განათლება. კაცის მთელი გონება და გამჭრიახობა მიქცეულია იმაზე, რომ რაც შეიძლება უმეტესი სარგებლობა გამოიტანოს ბუნებისაგან. ამის გამო

მთელი ყურადღება კაცობრიობისა მიქცეულია იმ მეცნიერებაზე, რომლის წყალობითაც კაცს მეტი სარგებლობა გამოაქვს ბუნებისაგან. კაცობრიობა დარწმუნებულია, რომ ამ მეცნიერების წყალობით იგი დაბოლოს მიაღწევს იმ ზომამდე, რომ მოსპობს ყოველივე დაბრკოლებათ. კაცი, რომელიც სრული ბატონია ბუნებისა, ყველგან და ყოველივეში ეძიებს ნივთიერ სარგებლობას და მარტო ამ სარგებლობის მოპოვებას ახმარს მთელს თვის განათლებას და მეცნიერებას. მართლაც დააკვირდით ჩვენს მოსწავლე ახალ-გაზდობას. თითოეული მათგანი გამსჭვალულია იმ ფიქრით, რომ შევიდეს უმაღლეს ტეხნიკურს ინსტიტუტებში, საინჟინერო, სამთო და სამხედრო სასწავლებლებში, რომ სწავლის დასრულების შემდეგ მსუქანი ადგილი მოიპოვოს და უზრუნველი ცხოვრება ექნეს. ასეთი ნივთიერი ცხოვრების მოპოების სურვილმა თავი იჩინა ჩვენს უნივერსიტეტებშიაც, რომლებიც არიან ტაძარნი მეცნიერებისა. აბა ერთი შეიხედეთ საქიმო ფაკულტეტის აუდიტორიაში? როცა ზოგიერთ სხვა ფაკულტეტების აუდიტორიაში სულ რამდენიმე სტუდენტი ისმენს ლექციებს, საქიმო აუდიტორია მთლად გატენილია სტუდენტებით. რატომ? მიტომ, რომ ეს ფაკულტეტი უფრო სასარგებლოა ნივთიერის მხრით. რაც უნდა ნაკლები ცოდნის მექონე იქნეს ექიმი და რაც უნდა მიყრუებულ ადგილს მოხვდეს, წელიწადში იგი ადვილად იშოვის 2000—3000 მან., როდესაც სხვა ფაკულტეტებზე სწავლა დამთავრებულმა ახალ გაზდობამ ბევრი სიღარიბე და აუტანელი შრომა უნდა გამოსცადოს და ბოლოს შეიძლება წელიწადში დაენიშნოს 1000—1500 მანეთი და მუდამ დღე ადგილის დაკარგვის უნდა ეშინოდეს. ამ სახით ყოველი მოსწავლე ახალ-გაზდა მუდამ მის ფიქრშია, რომ სწავლის დასრულების შემდეგ ყოველი მისი შრომა ერთი ორად დაჯილდოვებულ იქნეს ნივთიერად. ამის შედეგია ის სამწუხარო მოვლენა, რომ ყოველ გვარ სამსახურს, სახელმწიფოა იგი თუ საზოგადო, აფასებენ შემოსავლით. ყოველთვის იმ გვარ სამსახურს უფრო ბევრი ჰყავს თაყვანის მცემელი, სადაც დიდი ჯამაგირებია დანიშნული და მას კი არ დაგიდევენ, არიან მოზადებული ამ სამსახურისთვის თუ არა. ერთი სიტყვით, მთელი დღევანდელი განათლება მიქცეულია უზრუნველი ცხოვრების მოპოებაზე ანუ დაბიურად რომ ვსთქვათ—კუჭზე. ეს არის ჩვენი დღევანდელი ცხოვრების თავი და თავი საზრუნავი საგანი.

როცა კაცის გონება მიქცეულია მხოლოდ ნივთიერი ცხოვრების მოპოებაზე და მუდამ იმას ფიქრობს, რომ უზრუნველად იცხოვროს, მაშინ სრულებით მივიწყებულია უმაღლესი და კაცის შესაფერი ლტოლვილებანი და იდეები, ურომლოთაც შეუძლებელია კაცის ჭეშმარიტი ცხოვრება. თითოეული ჩვენგანის იდეალს შეადგენს სიამოვნებით და უნაკლულოდ ცხოვრება, რომლისადმიც მიისწრაფვის დიდი და პატარა.

როგორც განათლება ვრცელდება, ისე ვრცელდება და მატულობს ცხოვრების მოთხოვნილება. ბევრი ის, რაც საჭირო არ იყო ჩვენი წინაპრებისათვის, საჭირო და აუცილებელი მოთხოვნილება ხდება ჩვენთვის. კაცი ცდილობს დააკმაყოფილოს ყოველივე ეს მოთხოვნილება და არ დაგიდევს თვის მოყვასის შევიწროებას. აქედგან ჩნდება ბრძოლა არსებობისათვის როგორც თითეული თემის შორის ისე სხვა-და-სხვა თემის ხალხთა შორის. ამ ბრძოლაზეა დაფუძნებული აწინდელი განათლება. გავიხსენოთ ამას წინეთ გარდაცვალებული ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც სახელ-განთქმულია არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელს დასავლეთ ევროპაში. ამ მეცნიერის ფილოსოფიამ ზედ-გავლენა იქონია მუსიკაზედაც კი. ეს ფილოსოფოსი ხმამაღლა ქადაგებს, რომ ყოველი კაცი უნდა მიისწრაფოდეს თავის მიზნის მისაღწევად, სახელდობრ უფლების მოპოებისათვის, განურჩევლად საშუალებისა. დაე, სუსტნი, რომელთაც უნარი არა აქვსთ ცხოვრებისა, გაიჟლიტონ გზაზე, ოღონდ შენ მიაღწიო შენს მიერ სახეში ამოღებულ მიზანს. ისინი მაინც საჭირონი არ არიან ცხოვრებისათვის. თუ რამდენად აძლიერებს დღევანდელი განათლება ამ ბრძოლას არსებობისათვის, ამას ცხადათ ამტკიცებს საფრანგეთი, სადაც ამ ბოლო დროს დაბადებულთა რიცხვი შესამჩნევად კლებულობს. ამის მიზეზი ისაა, რომ ყოველი ქალი ცდილობს მუცელი მოიშალოს, რომ ყმაწვილის გაზდით თავი არ შეიწუხოს და სიცოცხლე არ გაიძაღლოს. ამიტომ ჩაესახებათ თუ არა მუცელში ყმაწვილი, სხვა-და-სხვა კანონის საწინააღმდეგო საშუალებით ცდილობენ მუცელი მოიშალონ. მთავრობა იძულებული გახდა ყურადღება მიაქციოს ამ არა სანატრელ მოვლენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ცდილობს მოსპოს ეს არა სანატრელი მდგომარეობა არა მიტომ, რომ იგი არის ზნეობის წინააღმდეგი, არამედ მიტომ, რომ ეს მოვლენა საზარალოა სახელმწიფოის კეთილ-დღეობისათვის.

არსებობისათვის ბრძოლა იმდენად გაძლიერებულია, რომ ძვირად ნახავთ კაცს, რომ ამ ბრძოლით არ იყვეს გამსჭვალული. თითოეული კაცი ეძიებს მარტო თავის სარგებლობას და მზად არის თავის სიამოვნებას დაანაცვლოს სხვისი სარგებლობა, მაგრამ სხვის შესახედად ისე იქცევა, რომ სხვამ არ შენიშნოს ეს. ხშირად გაისმის სიტყვები: სიყვარული, ძმობა, ერთობა, სიმართლე და სხვ. არასოდეს იმდენი არ თქმულა ღარიბთა და უსახლ-კაროთა შესახებ, რამდენიც ითქვა და დაიწერა მე—XIX საუკუნეში. შედგა კიდეც საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს აღებული გააუმჯობესოს ღარიბთა მდგომარეობა. მაგრამ ამ საგნის შესახებ დღემდე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, საქმით კი სრულებით არაფერი არ გაკეთებულა.

ამ სახით წარსულმა XIX საუკუნემ შესამჩნევად გააუმჯობესა კაცის ცხოვრება ნივთიერად, მაგრამ ვერ მიანიჭა კაცს ის სასურველი მაღალი გრძნობანი, რომელნიც შეეფერებიან გონიერ-ზნეობიან არსებას. აწინდელმა განათლებამ წინ წამოაყენა სხვა-და-სხვა მოთხოვნილებანი და ამან ერთი ათად გაამწვავა კაცთა შორის ბრძოლა არსებობისათვის.

ამიტომ, მკითხველო, მოგილოცავ რა ახალ წელიწადს და ახალ საუკუნეს, ვისურვებ თქვენთვის პირველად არა ნივთიერ სიმდიდრეს, არამედ იმ მაღალ იდეებს, რომელნიც ჰქმნიან კაცს ბედნიერად მაშინაც კი, როცა იგი ნივთიერადა არ არის უზრუნველ ყოფილი. მაგრამ საიდამ მოვიპოვოთ ასეთი იდეები? ერთად-ერთი წყარო ამ იდეებისა არის წმ. სახარება. მაშ აიღეთ წმ. სახარება, იკითხეთ იგი და თქვენ გაიგებთ, თუ ნივთიერ უზრუნველობის გარდა რა არის საჭირო და აუცილებელი კაცისათვის, როგორც გონიერი არსებისათვის.

ეჭიმის საუბარი

გულისხმიერ მკითხველთან.

(წერილი პირველი)



ინ არ იცის, რომ ადამიანისათვის ერთ-ერთ დიად, ქვეყნიურ განძად უნდა ითვლებოდეს ჯანმრთელობა, ესე იგი სხეულის იმ-გვარი არსებობა, როდესაც ყოველივე ნაწილი მისი წესიერად და სისრულით ასრულებს თავის დანიშნულს ბუნებრივ მუშაობას. ამ რიგიანს და შეთანხმებულს მუშაობას სხეულისას მოსდევს ის სასიამოვნო სიმხნევისა და კმაყოფილების გრძნობა, რომელსაც ბევრი მხოლოდ ავადმყოფობის დროს აფასებს. ვინც შეგნებულად უყურებს თავის აგებულებას და კიდევაც ესმის ყოველ-მხრივი მისი ვითარება—მას კარგად აქვს გათვალისწინებული, თუ რა დაუფასებელი განძია ჯანმრთელობა და რა სამწუხაროა მისი შელევა. მაგრამ ეს ითქმის სულ უმცირესობაზედ. უმრავლესობა-კი მხოლოდ მაშინ იგებს ამას, როდესაც მწარე ტკივილები და ლოგინად ჩავარდნა შეხვდებათ წილად. ამ დროს თვით შეუგნებელიც-კი აფასებს კარგად-მყოფობის სიძვირფასეს და ნატრობს მის დაბრუნებას. მაგრამ, თუ კი დაიბრუნა იგი, ხელ-ახლად უზრუნველად ეკიდება და არად აგდებს მას.

დიახ, დიდი განძია ჯანმრთელობა, მაგრამ არც ერთ განძს ასე უყურადღებოდ და წინ-დაუხედველად არ ეკიდება ადამიანი, როგორც ამას! რამდენ რაიმეს, უმნიშვნელოს, უსარგებლოსა და უსაფუძვლოს უფრო მეტს ყურადღებას აქცევს ადამიანი, ვიდრე ამას!? რამდენია ისეთი, რომ მცირეოდენზედაც-კი მომჭირნეობას იჩენს, ხშირად შაურის საღირალ საქმეს, მზად არის, თავი გადაგოს, მაშინ, როდესაც ამ დაუფასებელს მხარეს თავის სიცოცხლისას თვითონვე ძირს უთხრის და სამუდამოდ ეთხოვება. რამდენია კიდევ ისეთიც, რომელსაც უთვალავი ფული ეხარჯება და რომელიც არაფერს არ ზოგავს თავის-თავის ფუფუნებისა და კმაყოფილებისათვის, და წინ-დაუხედველობით-კი თვითონვე იახლოვებს თავის მოუძლუ-

რებას და უდროო აღსასრულს. ყოველივე ეს უვიცობით ხდება უფრო, და თავი-და-თავი მიზეზიც ეს არის. ამისათვის საჭიროა ამ უვიცობასთან შებრძოლება და ეს-კი რიგიანის ცოდნის გავრცელებით შეიძლება. მაგრამ რადგანაც სასწავლებელი საამისო ცოდნას არ იძლევა და, ბევრ სხვა ნაკლთან ერთად, ამ მხრითაც არავითარ მომზადებას არ აძლევს ახალ-გაზრდას, ამისათვის მერე მაინც უნდა სცდილობდეს თვითეული ადამიანი ამ ცნობების შევსებას. საამისოდ-კი ერთად-ერთ საშუალებად ბეჭდური სიტყვა უნდა ჩაითვალოს, მეტადრე ჩვენში. სხვა ქვეყნებში ყოველთვის საჯარო კითხვები იმართება, სადაც ერთი ადამიანი რამდენიმე ასს პირს, ერთად შეგროვილს ელაპარაკება. ამნაირად ერთი მცოდნესაგან მრავალზე გადადის მოკლე ხნის განმავალობაში ბევრი სასარგებლო ცნობები. მაგრამ ჩვენში ეს საშუალება შეუძლებელი გამოდის, და მსურველი რომ ბევრიც იყოს, მოუხერხებელი ხდება მაინც. ამით მძლავრ საშუალებას მოკლებული გამოვდივართ და მხოლოდ იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, თუ ვინმე გამოჩნდება საკმაოდ გამჭრიახე, კითხვის მოყვარული, რომ დასტამბულ ფურცლებს მაინც მიმართოს, გულ-დასმით წაიკითხოს და მერე ეს წაკითხული იმ წრესაც მოჰფინოს, სადაც იგი ნიადაგ ტრიალებს. ამ მხრით სოფლის მღვდელსა და მასწავლებელს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, რადგანაც მუდამ სოფელში ცხოვრება, ხალხთან დაახლოვება, მასთან გაჭირვებასა და დალხინებაში ყოფნა—ღონისძიებას აძლევს მათ, რომ თავისი რჩევა-დარიგება ბევრს მიაწოდონ. ამნაირად, თანდა-თანის ცდითა და მეცადინეობით, ნელ-ნელა, ბევრად თუ არა, ცოტად მაინც შეიძლება გავრცელდეს ზოგიერთი ცოდნა ხალხში—და ესეც კარგია. დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორც სხვა ყოველივე, რასაკვირველია, ესეც ძალიან კარგად აქვსთ შეგნებული, და ამიტომაც სხვა მრავალ საშუალებასთან ერთად, რომლითაც ხალხში ცოდნას ჰფენენ, პირველ დასაწყისს სასწავლებლებში ყველგან ასწავლიან მოკლედ, მაგრამ გარკვევით, ადამიანის აგებულების და მის მოვლის ვითარებას. ჩვენში-კი, ჯაბუკი, რომელიც ხუთ-ექვს წელიწადს სასწავლებელში მრავალ ცნობებს თუთიყუშისებურად იძენს, იმასაც-კი ვერ გეტყვისთ, თუ რა აქვს გულ-მკერდში და მუცელში, ან ყოველ-დღე რომ საჭმელს ჰყლაპავს და ნიადაგ სუნთქავს—ეს რისთვის არის საჭირო და ან რას უკეთებს სხეულს. სიჭაბუკეში დარჩენილი უვიცობა მერმისისთვისაც ურჩება და ამნაირი ჭაბუკი შემდეგ ხდება ქმარი, ოჯახის მამა, რამოდენიმე არსების მომვლელი, რომლის ხელთაც არის მათი აღზრდა, მოვლა და კაცად გამოყვანა. ამნაირად უვიცობას უვიცობა ემატება და ხალხიც, როგორც სხვა-მხრივაც, ჯანმრთელობითაც ბეჩავსა და შესაბრალისს მდგომარეობაში არის. იგი ხშირად ხდება ავადმყოფობის მსხვერპლად. სანამ შეუძლია მოჭირვება, ხომ იჭირვებს და მერე-კი ბევრს საშუალებას ჰხმარობს, რიგიანსაცა და უფრო ხშირად ურიგოსაც, მაგრამ გვიან და ამაოდ: დროს ჰკარგავს, ფულს ხარჯავს, ჯიბესთან ერთად სხეულსაც იღარიბებს და საბოლოოდ, თუ სულ არ გამოესალმა წუთის-სოფელს, უფრო ხშირად დაჩაჩანაკებული რჩება, წინანდელზე უფრო დაუძლურებული და ამნაირად უფრო განმზადებული შემდეგი ავადმყოფობისათვის.

მარტო ის არ კმარა, რომ ოჯახის უფროსი თავის ოჯახობით ამაყობდეს, არც ის არის საკმაო, რომ ოჯახის დიასახლისი, ქმარ-შვილის რიგიან მოვლაში ვარო,—ჰფიქრობდეს. ერთსაცა და მეორესაც უფრო მეტი დაკვირვება და ცოდნა ესაჭიროება, ვიდრე საზოგადოდ ჰგონიათ ეს. ძალიან კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ერთიცა და მეორე მოვალეობაც მეტად რთული და ძნელი ასასრულებელი არის, ამიტომ ამასაც, როგორც ყოველივეფერს ცოდნა და დაკვირვება უნდა. მაგრამ ეს ყველას დავიწყებული აქვს და სრულებითაც არავინ უფიქრდება ამას. ვისაც თოხი არ უხმარია, ის სიმინდის მარგვლას არ იკისრებს, ვინაც გუთნის კარგად ხმარება არ იცის—ის არასოდეს არ შეუდგება მუშაობის დაწყებას, სანამ კარგად არ დაუკვირდება და საამისოდ თავს მზად არ დაიგულებს. ოჯახის მოკიდება-კი ისე ადვილ-საქმედ არის მიჩნეული, თითქო ყოველ საქმეზე უფრო მარტივი და უზრუნველი იყოს! თუ-კი უბრალო ქოხი აქვს ვინმეს და წლის სარჩო ჭადი და ლობიო მოეძევება, იგი სრული დარწმუნებულია, რომ შეიძლება ცოლ-შვილსაც მოეკიდოს. ისრულებს კიდეც ამ სურვილს და ამნაირად ერთ ბე-

ჩავს მეორე ემატება, შემდეგ მესამე და მეოთხე და მეტიც. ასეთს მოუმზადებელ კერას ატყდება მერე თავს მრავალი უბედურება და მასთან ერთად ყოველ-გვარი ავადმყოფობაც. აქ ჩნდება ბუდე მუდმივი სნეულების, რომლის საბრძოლველადაც არავითარი მომზადება არ აქვს შიგ მდგომს, და საშუალებაც მეტად ცოტა მოეძევება, რომ რიგიანად გაუმკლავდეს ავადმყოფობას. სუსტდება ოჯახის მრჩენელი, უძლურდება ოჯახის დიასახლისი, იჩაგრება აკვანშივე ბავშის აგებულება და მიდის უკუღმა ოჯახის საქმეც. ამნაირად მოსდის ვნება ოჯახს კერძოდ და საზოგადოებას საერთოდ. ბევრი ავადმყოფობა ხანმოკლეცა და ხანგრძლივიც გაუბრთხილებლობით ჩნდება, მოუვლელობით ძლიერდება და შემდეგ რიგიან ექიმობის დახმარებითაც-კი ხშირად ძნელი მოსარჩენი ხდება. ის არ კმარა, რომ ადამიანს იმედად ჰქონდეს ავადმყოფობის დროს ექიმს მივაშურებო. საჭიროა მუდმივი ყურადღება, რომ სხეული დასუსტებას არ მიეცეს და მავნე პირობებს აშორებული იყოს. ამისათვის საჭიროა ცოტაოდნად მაინც იცოდეს ადამიანმა: რა გავლენა აქვს აგებულებაზე ნიადაგს, ჰაერსა და ჰავას, როგორი უნდა იყოს სადგომი, წყალი, რანაირი საზრდოა საჭირო სხეულისათვის, ტანსაცმელისა და სხეულის სისუფთავეს რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩნდება გადამდები სენი და სხვა ზოგიერთი ხშირი ავადმყოფობა და სხ. როდესაც ადამიანი ცოტაოდნად მაინც აღჭურვილია ამის ცოდნით, მაშინ მას შეუძლია თავისი ცხოვრება ისე მოაგვაროს, რომ ყოველ-გვარ ცვლილებას შეუფარდოს იგი, და არ დაიღარიბოს სხეული, რომ არ გახადოს იგი ყოველ-გვარ ავადმყოფობისათვის მომზადებულ ნიადაგად.

აი ამ უსაჭიროეს საგნებზე გვექმნება ჩვენ ბაასი მკითხველთან შემდეგ წერილებში. რომ მოსაწყენი წასაკითხი არ იქნეს, არ გამოვეკიდებით ყოველ-მხრივ აღწერას საგნისას, შევეხებით მხოლოდ უმთავრესს ცნობებს, ადვილად დასანახსოვრებელს და უფრო საჭიროს. ვიგულისხმებთ უფრო სოფლის საზოგადოებას და მისს ჭირ-ვარამს.

თუ მკითხველის ყურადღება ხვდა წილად ამ სტრიქონებს, იმედია, რამოდენიმეს მაინც გამოადგება ჩვენი სიტყვა და მაშინ ჩვენს შრომას დაკარგულად არ ჩავთვლით. ათში რომ ერთმა დაინახსოვროს, ესეც სანუგეშო იქმნება, რადგანაც ამ ერთისაგან მერე სხვაც შეიძენს ცოტ-ცოტად და შეუმჩნევლად, და ამნაირად ნელ-ნელა მაინც მოიფინება ზოგიერთი სასარგებლო ცნობები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომელიც ასე საჭირო და სასურველია ყველასათვის და ურომლისოდაც ყოველივე ფუჭია და ამაო.

ექიმი ვ. ღ—ძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქუთაისში 15 დეკემბერს 1899 წ.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მათი მათი მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის ბრძანებით 15 დეკემბერისათვის იყვნენ მიწვეულნი სამღვდელოების დეპუტატები ქუთაისში, სასულიერო სასწავლებლების საქმეებისა გამო. 15 დეკემბერს თითქმის ორი წილი მეტი შეიკრიბა დეპუტატებისა და ამისათვის კრება შეუდგა თავმჯდომარის აღრჩევას. ხმის უმეტესობით თავმჯდომარედ აღრჩეულ იქმნა მღვდელი იუსტინე ტაბიძე. თავმჯდომარის აღრჩევის შემდეგ საქმის მწარმოებლის აღრჩევას შეუდგნენ. დაასახელეს რამდენიმე კანდიდატი და სხვათა შორის მღვ. კაპანაძე.

დეკ. დ. დამბაშიძე. მამანო დეპუტატნო, ჩვენ მამა კაპანაძის წინააღმდეგ არა გვაქვს რა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ კრებას შემცდარი აზრი აქვს კრების საქმის მწარმოებელზე. სამღვდელოების დეპუტატებს ადვილ საქმედ მიაჩნიათ კრების საქმის მწარმოებლობა და ამისათვის ხშირად იმისთანა კაცებს ასახელებენ, რომელთაც არ შეუძლიათ საქმის წარმოება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ქირაც გავიღოთ, რომ რიგიანი საქმის მწარმოებელი გვეყოლოს, რადგან საქმის მწარმოებელზე ბევრი

რამ არის დამოკიდებული. კარგად გახსოვსთ, ვგონებ, დეპუტატებს, რომ გამოუცდელი საქმის მწარმოებლების წყალობით კრების ბევრი განაჩენი სრულებით დაუწერელი დარჩა, ან ზოგიერთი განჩინება არ იყო ისე დაწერილი, როგორც თქმული და გარდაწყვეტილი იყო. რაიცა შეეხებს მას, რომ ჟურნალში ჩაიტანონ ზოგიერთი დეპუტატების და მთელი კრების მოსაზრება,—ეს ხშირად სრულებით არ სრულდება. მთავრობისთვის არ კმარა მარტო ის, რომ დავსწეროთ: მოისმინეს და გარდასწყვიტეს. საჭიროა მღვდელ-მთავარმა იცოდეს ყველა ის მოსაზრებანი კრებისა, რომლის საფუძვლითაც გარდასწყვიტეს დეპუტატებმა მიცემული წინადადებანი.

ერთხმად არჩეულ იქმნა საქმის მწარმოებლად დეპ. მღვდელი ვ. კაპანაძე.

შედგა სიგელი თავს-მჯდომარის და საქმის მწარმოებლის აღრჩევაზე და წარედგინა მათ მეუფებას. მათი მეუფება ამ სიგელის დამტკიცების შემდეგ შემობრძანდა კრებაში, რომელიც გახსნილი იყო სასულიერო სასწავლებლის ერთ დიდ ოთახში. შემდეგ ლოცვისა და კრების კურთხევისა, მათმა მეუფებამ კრებას მიმართა შემდეგი სიტყვით:

„ფრიად მოხარული ვარ, რომ ვხედავ ჩემდამო რწმუნებული სამღვდელოების წარმომადგენელთა ძმობრივ კრებას. სულით და გულით მოწადინებული ვარ დავრწმუნდე, რომ თქვენ შეადგენთ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების საუკეთესო ნაწილს, თქვენა ხართ ამ სამღვდელოების გაჭირვებათა ღრმა მცოდნენი და მასთან აღჭურვილნი ყველა იმ თვისებაებით, რომელნიც საჭირონი არიან, რომ კაცმა კაცს ჩაებაროს თავისი გულის პასუხი, კაცმა კაცს მიანდოს თავისი პირი, კაცმა კაცი გახადოს თავის ბადლად. მწყურია დავრწმუნდე, რომ ყოველი გადაწყვეტილება და დადგენილება თქვენი არის გადაწყვეტილება და დადგენილება იმათიც, რომელთაც თავისი მაგივრობა დაგითმო თქვენ. მე, როგორც ახალს, ჯერ თქვენთან არა დაახლოვებით გაცნობილს, ეს თქვენი კრების მოქმედების ხასიათი მომცემს ჩინებულ საბუთს იმისას, რომ შევადგინო ასეთი თუ ისეთი წარმოდგენა ეპარქიის სამღვდელოებაზედ. თქვენ გედგინებათ გასარჩევათ, განსახილველად და გარდასაწყვეტად ისეთი კითხვები, რომლებსაც მეტად დიდი და ფრიადი მნიშვნელობა აქვს თქვენი შვილების სწავლა-აღზრდის საქმეში. თუ ამ კითხვების გარჩევას შეუდგებით მუყაითად, გულდასმით, სიწრფელით და სიყვარულით, თუ მსჯელობის დროს გამოიჩენთ ურთი-ერთი შორის პატივისცემას, მიუდგომელობას და სისწორეს, თუ თქვენი შვილების კეთილ-დღეობისათვის არ შეუშინდებით არაგვარ დაბრკოლებას და კეთილ-შობლური გაბედულობით შეებრძოლებით თქვენს სიღარიბეს, ცხადია, დარწმუნებული შევიქნები, რომ თქვენი მარწმუნებლებიც, თქვენი მამები და ძმებიც არიან მუყაითნი, დარბაისელნი, წრფელნი, მოყვარულნი, სხვის ღირსების პატივის მცემნი, პირუთვნელნი და ყოველი სიკეთის შეუშინებელნი მომხრენი. „თვითოეული ხე თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არიან (ლ. 6, 44). თქვენა ხართ რტონი იმ შედარებით დიდი ხისა, რომელსაც წარმოადგენს იმერეთის სამღვდელოება: რა თვისების ნაყოფიერებასაც გამოიჩენთ თქვენი მოქმედებით, იმავე თვისების მოქმედებისა იქნება იგი სამღვდელოებაც, რომელმაც თქვენ წარმოგგზავნათ აქ. ყველა თქვენგანმა კარგათ იცის, რომ უარის თქმა, ზურგის შექცევა, ხელის კვრა ისეთი რამაა, რომელიც არ მოითხოვს კაცისაგან არა გვარ სიბრძნეს და ხელიდამ გამოუვა ყოველ ბოვშსა და გონებით უძლურსაც. მიზანი თქვენი მოწოდებისა, თქვენი განშორებისა მრევლთაგან და არა მცირედი ხარჯის გაწევისა ისაა, რომ თქვენ გამოიჩინოთ გამჭრიახობა, გონების მახვილობა და სიბრძნე იმ რთულ კითხვების სასურველად გადაწყვეტაში, რომლების დაბოლოებითი გარკვევა მოითხოვს შეერთებულ გონებითი ძალას და მთელი წოდების წარმომადგენელთა მოსაზრებას. მომეცით საქციელთაგან თქვენთა უტყუარი საბუთი იმისა, რომ თქვენ და თქვენთან ერთათ მთლათ იმერეთის სამღვდელოებაც, ღირსნი ხართ ამ გვარი მაღალი შეხედულობისა და ნდობისა მთავრობის მხრით. გთხოვთ და გეევედრებით აღმოიჩინოთ თქვენი გონიერი მოქმედებით სათანადო სიყვარული, რათა მეც სამსახურსა თქვენსა სიხარულით ვჰყოფდე და არა სულთ ვითქმიდე, რამეთუ არა ადვილ არს ესე თქვენდა (ებრ. 13, 17). თქვენ ამ კრებაზე ბევრი კითხვები გაქვსთ გარდასაწყვეტი, მაგრამ მათში უმთავრესი თქვენი ყურადღება უნდა მიექცეს ეპარქიალური ქალების სასწავლებელთან პანსიონისათვის სახლის აშენებას და სას. სასწავლებლის გაყოფას. ეს ორივე კითხვა ფრიად საყურადღებოა. კარგად იცით, თუ რა საძნელოა მოსწავლე ქალებისათვის შორეული ადგილებიდამ სიარული სასწავლებელში, რომელიც ქალაქის განაპირას არის და რომლის ახლო-მახლო ხეირიანი ბინა არ იშოვება და ბინა კიდეც რომ იშოვებოდეს, საძნელო საქმეა ქალიშვილის მიბარება სხვის ოჯახში, სადაც მოსწავლენი მოკლებული არიან სასწ. მეუფროსეთა ზედამხედველობას“.

გარდა ამისა მათმა მეუფებამ ბევრი მოსაზრებანი და საბუთები მოიყვანა პანსიონის დააარსებისა და სას. სასწ. გაყოფის შესახებ. შემდეგ მათმა მეუფებამ აკურთხა კრება და შინ წაბრძანდა. კრება გადაიდვა საღამოს 7 საათისათვის. დამსწრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინდისის აღსარება.

მე ის ვარ, ვინაც კაცს ვაძლევ
ნამდვილსა კაცობასაო;
წმიდა ზნეობით ვამაღლებ
მისს ცოდვილს ბუნებასაო.
მე ვარ, ვინც გულში ვუნერგავ
კაცს მოძმის სიყვარულსაო,
რომ შველოს თავის მოყვასსა,
შავ-ბედით დაჩაგრულსაო.
მე ვარ, ვინაცა ვაყვარებ
მას საღმრთო სიმართლესაო,
ვაგონებ ჭეშმარიტებას,
ვაძულებ სიბილწესაო.
მე ვარ, ვინაცა ვაზიზღებ
კაცს თავის კუჭის „მრწამსსაო“
და შევაყვარებ მის ნაცვლად
კეთილს და ზენაარსსაო.
მე ვარ, ვინც კეთილ კაცის გულს
მოვმადლებ მშვიდობასაო,
ვაგემებინებ მისს სულსა
ციურს ნეტარებასაო.
მე ვარ, ვინც სიმართლისათვის
კაცს ვაწირვინებ თავსაო
და ვუტკბობ იმას სიცოცხლის
უკანასკნელსა წამსაო.
მე ვარ, ვინც თანა გავყვები
იმის უკვდავსა სულსაო,
ვამკვიდრებ სასუფეველსა,
მისთვის გამზადებულსაო.
მაგრამ, თუმც კაცი შემცოდავს,
დროებით მივჩუმდებიო
და ბოლოს იმავ კაცზედა
ძალიან გავცხარდებიო:
დავტანჯავ იმა საწყალსა,
ვადენ თვალთაგან ცრემლსაო.
რომ სიკვდილამდის სტიროდეს
დანარჩენს სიცოცხლესაო.
წყეულ არს იგი ჩემ მიერ,
ვისაც ბოროტი უყვარსო,
ვინაცა სდევნის სიმართლეს,
და გული შხამით უყარსო.
ცოდვებით დამძიმებულს კაცს
ჩავაგდებ სინანულშიო
და სულ-მოშხამულს ჩავიყვან
შავ-ბნელსა სამარეშიო.

იდ. ფერაძე.

1887 წ. ქ. თბილისი.

მოთქმა.

ვერ დაგიცევ, ოჯახო!
როგორც შვილის ვალია;
მაგრამ ხომ თვით შენც ჰხედავ,
არ არს ჩემი ბრალია.

—

ვიბრძოლე თავ დადებით,
სანამ მქონდა ძალია,
დავვუძლურდი, დავეცი,
აღარ მიჭრის მკლავია.

—

ვერ დავსძლიე ადამის
დამღუპველი გველია,
დედავ! ჩემო, ოჯახო
გახდი ვისი მხვედრია?!

—

ჩვენი დროის ეროდიმ
მოიქნია რხმალია,
გველის მსხვერპლად რომ ჩემთვის
მოეთხარა თვალია...

—

გიგლოვ, სანამ ცოცხალ ვარ
როგორც შვილის ვალია,
შენი ჭირისუფლობა
ჩემი სამღვრთო ვალია.

—

შენს ცივს მკერდზედ, ოჯახო!
განვუტევებ მეც სულსა,
და მით ხომ განვუსვენებ
შენთვის ტანჯულ დაგულსა...

ქაიხოსრო გელოვანი.

ბ ლ ე ხ ი.

ბლეხი ვარ მუშად ვშობილვარ,
ჯაფა-შრომაში ვბერდები,
ჩემის ნაშრომით ბევრს ვარჩენ,
ამით ხომ სულით ვცხონდები.

—

არ ვდარდობ სიღარიბისთვის,
ჭადს, წყალს, ლობიოს ვჯერდები,
ღმერთმა მიკურთხა მარჯვენა,
ჯან-ღონით არა ვსუსტდები.

—

სანამ ცოცხალ ვარ, ვხნავ-ვთესავ,
ჯაფას არ შევუშინდები,
მოკვდები მე ჩემს უღელ ქვეშ,
სამარეს მივებარები.

—

იქ განვისვენებ დაღლილი,
ვიქნები თავისუფალი,
ამ ქვეყნად ჩაგრულს ყველასგან
იქ შემიწყნარებს უფალი...

ქაიხოსრო გელოვანი.

ინგლისის კაროლევა ვიქტორია I-ლის გარდაცვალება.

ვიქტორია I-ლი, დედოფალი დიდის ბრიტანიისა და ირლანდიისა დაიბადა 24 მაისს 1819 წ. იგი ერთად-ერთი ასულია გიორგი III მეოთხე შვილის კენტის ჰერცოგისა და პრინცესა ვიქტორია საქსენ-კობურგელისა-ვიქტორია ნორტუმბერლანდის ჰერცოგინას ხელმძღვანელობით აღიზარდა და ბოტანიკასა და მუსიკაში საკმაოდ კარგი ცოდნა მიიღო. ტახტის მემკვიდრეობა თავისს უშვილო ბიძის ვილჰელმ IV სიკვდილის შემდეგ მიიღო 20 ივლისს 1837 წ. ქმრად ვიქტორიამ შეირთო პრინცი ალბერტი საქსენკობურგ-გოტის (1840 წ.), რომელმაც 1861 წლამდე იცოცხლა. ტახტზე ასვლის დღიდგან (1838 წ.) დღევანდლამდე ისტორია დედოფლის ვიქტორიასი ერთსა და იმავე დროს მთელის ინგლისის ისტორიას წარმოადგენს ნახევარ საუკუნეზედ მეტის დროისას, რომლის აღწერაც მოკლე ნეკროლოგში ყოვლად შეუძლებელია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ხნის განმავლობაში ინგლისმა შინაურსა თუ გარეშე წყობილებაში დიდი ცვლილება გამოიარა: იცვალნენ პოლიტიკურნი დასნი, გაიზარდა და გამრავალფეროვანდა სახელმწიფოს ორგანიზმი. 1861 წ. პრინცი ალბერტი გარდაიცვალა და დედოფალი ვიქტორია დაქვრივდა.

დედოფალს ვიქტორიას ჰყავდა სულ 9 შვილი. დედოფალი ვიქტორია მიიცვალა ღრმად მოხუცებული, 82 წლისა. ტახტის მემკვიდრეა ალბერტ ედუარდი პრინცი ვალიისა, რომელიც ამ ჟამად 48 წლისაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ლონდონიდან იუწყებიან: «დელარეი დაბრუნდა ისევ ორანჟეს რესპუბლიკაში. ხმა დადის, ვითომც დევეტს წვერი მოუპარსავს, რომ ვერ იცნონ და ინგლისის რკინის გზის მატარებლით წასულა ორანჟეს რესპუბლიკიდან კაპის ახალ-შენში; კაპშტადტიდან იწერებიან კიდევ დეპეშით, რომ დევეტს ისეთი მომხიბლავი ძალა აქვს აფრიკანდერებზედ, რომ ისინი ყველანი აჯანყდებიან, როგორც ერთი კაცი, რაწამსაც ეს მოჩვენება-გენერალი გაჩნდება კაპის ოლქში. იქნება ხმა დევეტის ამ უცნაურ მოგზაურობაზედ ტყუილი იყოს, მაგრამ კიტჩენერი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ მან იცის, საცა ამ ჟამად დევეტი იმყოფება. ბოლონდელ ბრძოლაში, როცა ინგლისელები უკვე გარს შემოერტყნენ დევეტს, ამ გენერალს ძალზედ დაუმარცხებია ინგლისელთა რაზმი ლინდლეისთან; ამბობენ, რომ ეს ამისთანა დამარცხება ჯერ ინგლისელებს ზოგადოებისაგან ამ დამარცხების ამბავს.

სამხრეთ-აფრიკის საქმეთა მცოდნეები დიდი ხანია ამტკიცებდნენ, რომ ინგლისელები, როცა გაუჭირდებათ კაცრებს ამოიხმარებენ ბურების წინააღმდეგ. ეს აზრი ეხლა მართლდება. სამი დღის წინ კაპის ახალ-შენის გუბერნატორმა მილნერმა მიიღო კაფრების დეპუტაცია, რომელმაც თავისი შველა აღუთქვა ინგლისის ჯარს; მილნერი დაპირდა კაფრებს თეთრებთან თანასწორობას და სთხოვა, რომ დახმარება გაუწიონ ინგლისელ სარდლებს იმით, რომ სწორე ცნობები მიუტანონ ბურების რაზმების რიცხვზედ და მათ მოძრაობაზედ.

—

ოსმალეთის სულთანი, როგორადაც ხალიფი ყველა მუსულმანებისა, ჰგზავნის ჩინეთში მუსულმანთა მისსიას, რომელმაც ჩინელი მუსულმანები უნდა დაამშვიდოს და დაარიგოს, რომ არ გაერივნენ აჯანყებაში ევროპიელთა წინააღმდეგ. გერმანიის იმპერატორი ეხლა გერმანულ სამხედრო გემს აძლევს ამ მისსიას ჩინეთში წასასვლელად.

—

გენერალი რობერტსი უარს აცხადებს რაიმე დღესასწაულობა და სადილები გაუმართონ იმ დრომდე, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში ომი სრულიად არ შესწყდება, თუმცა ოფიციალურად დიდი ხანია ომი დასრულებულად გამოაცხადეს, რასაც ეხლა თვით ინგლისელნი დიდ შეცდომად აღიარებენ. ბრძოლის ველიდგან ახლა ერთ თავად იმას იუწყებიან, რომ ინგლისელნი ბურებს გმირულადა და მხნედ იგერებენ, მოქმედების ნებას აღარ აძლევენო. მარტო ეს გარემოებაა საკმარისი, რომ წარმოვიდგინოთ, თუ ინგლისელები რაოდენად შეშფოთებულნი არიან, სულით დაცემულნი: ინგლისელები თავს იმით-ღა ინუგეშებენ, რომ მტერს იგერებენ, თავისუფალ მოქმედების ნებას არ აძლევენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითონ ინგლისელებივე იუწყებიან, რომ ბურები კაპშტადტის წყლის მილს თავს დასხმიან და წაუხდენიათ. მეორე დეპეშა კიდევ იუწყება, რომ ბურების პატარა რაზმები ორანჟეს რესპუბლიკის აღმოსავლეთის ნაწილში შეერთებულან და ეროს[illegible] ეთისაკენ წასულან, საიდგანაც დევეტის მეთა[illegible] რიგად ა[illegible] კაპის ახალშენში აპირებენ გადასვლას. ამ ინგლისი[illegible] იმას აღარ იუწყებიან, რომ დევეტს პირ-ი[illegible] გენერლები სდევნიან და ავიწროვებენ. [illegible], ინგლისის მხედრობის გაჭირვებულს მდგომარეობას სამხრეთ აფრიკაში გულ-ახდილად აღიარებენ და ახალს მიმშველს ჯარს ინგლისსა და ახალ-შენებში გაფაციცებით ჰკრებენ. ინგლისელებს განზრახვა აქვთ ორნაირი ჯარი შეჰკრიბონ: ერთი სამხრეთ-აფრიკის გზების დასაცველად, ხოლო მეორე მტერთან საბრძოლველადა და მდევნელად.

ახალი აბები და შენიშვნები.

—

ქართველმა სტუდენტებმა იდღესასწაულეს ოცდა-ათის წლის მოღვაწეობის იუბილეი დამსახურებულის პროფესორის პეტრიაშვილისა. პროფესორს მიართვეს ადრესი, საპასუხო სიტყვაში პატივცემულმა პროფესორმა, ჩვეულებრივის თავმდაბლობით, სხვათა შორის, სთქვა: „ბატონებო, თქვენ მეტად გააზვიადეთ ჩემი ღვაწლი; ერთი შემიძლია მხოლოდ ვსთქვა, რომ მე და ახალ-გაზდობას ყოველთვის გვიყვარდა ერთმანეთი და რამდენადაც შემეძლო ვშველოდი მას».

*
* *

დაიბეჭდა ბოქვეშევრდომილესი მოხსენება ფინანსთა მინისტრისა 1901 წლის ხარჯ-აღრიცხვის შესასებ. სახელმწიფო შემოსავალი: ჩვეულებრივი 1,730,096, 006 მ., საგანგებო—1,500,000 მან.; სახელმწიფო ხაზინის თავისუფანი ნაღდი—56,886,000 მ. სულ 1,788,482.006 მ.; სახელმწიფო გასავალი: ჩვეულებრივი—1,656,652,556 მან., საგანგებო—131,829,450 მან., სულ—1,788,482,006 მ.; ჩვეულებრივი შემოსავალი აღემატება ჩვეულებრივ გასავალს 73,4 მილიონ მანეთად. ჩვეულებრივი შემოსავალი აღემატება შარშანდელ ჩვეულებრივ შემოსავალს 136,350,826 მანეთით.

* *
*

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინედ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა 6000 მანეთი შესწირა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სექ-

ტემბერში საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ასის წლის შესრულების გამო კავკასიის საიუბილეო სასოფლო-სამრევლო გამოფენის მოსაწყობად. პარასკევს, 29 დეკემბერს, სამეურნეო საზოგადოების ვიცეპრეზიდენტმა უკვე მიიღო კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიიდან ორი ტალონი № 12273 და 819 აღნიშნულ 6 ათასის მანეთის ხაზინიდან გამოსატანად.

* *
*

როგორც „ნოვ. ობზ." ატყობინებენ, ქუთაისის ღარიბ ბავშთა შემწე საიოგადოებას განზრახვა აქვს დაარსოს საღორიაზე პირველ-დაწყებითი სკოლა. უკვე შემუშავებულ პროექტის მიხედვით, ამ სკოლის შენობას და მის მოწყობას დასჭირდება 7000 მან. სკოლასთანვე დაარსებულ იქნება თავშესაფარი უსახლ-კარო ბავშვებისათვის.

*
* *

ერთ ამერიკულ გაზეთში არის დაბეჭდილი შემდეგი ამბავი: ერთ სავაჭრო სახლს ტორონტოს ქალაქში გამოუცხადებია, რომ ხუთ შილლინგათ (2 მ. 30 კაპ.) შეიძლება ჩვენგან დაბარება დაზღვეულის ამანათით ერთი წიგნის, რომელიც საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენს, კარგის აზრებით აღსავსესო, რასაც ყოველი რიგიანი მოაზრე ადამიანი წაიკითხავსო. ცენზურას უფიქრია, ალბად რაიმეს აკრძალულ ნაწარმოებს ასაღებენ ამნაირად, და გაუგზავნია ხუთი შილლინგი, რომლის სამაგიეროდაც მიუღიათ «დაბადება» ერთ შილლინგად ღირებული. რას იქმოდენ? არავითარი საფუძველი არ იმექონებოდა გამყიდველების პასუხის გებაში მიცემის, რომელთაც მათი განცხადებისამებრ, გამოეგზავნათ „საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები კარგის აზრებით აღსავსე".

* *
*

ამ დღეებში მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ჩვენმა შესანიშნავმა და გულ-უხვმა ქველ-მოქმედმა, მათ ყოვლად უსამღვდელოესობას გორის ეპისკოპოს კირიონს გადასცა 2200 მანეთი ოთხი შესანიშნავი ხელნაწერის დასაბეჭდად. ამ ფულით უნდა დაიბეჭდოს შემდეგი ძველი წიგნები: 1) სრული ნომოკანონი 1217 წლისა, 2) მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებანი, 3) შატბერდის კრებული და 4) მიქელ მიდრეკილის საგალობლის წიგნი.

შესამჩნევია ეს შეწირულება და ეჭვ გარეშეა, რომ შემდეგი თაობა ღირსეულად დააფასებს მათი მეუფების მოღვაწეობას.

* *
*

გამოვიდა საბეჭდავიდამ ახალი თხზულება რუსულს ენაზე უწმ. სინ. ობერ-პროკურორისა, სახელად სწავლა და მასწავლებელნი.

* *
*

ხმები ისმის, რომ საქართველოს საეკლესიოს სასულიერო მოამბის რედაქტორად ინიშნება მღვდელი ი. ვოსტორგოვი.

* *
*

სამეგრელოის სამღვდელოებას უყიდნია თავისი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლისათვის მკურნალის კახიანის ქვიტკირის სახლი 18 ათას მანეთად. ამ ახალ შენობაში 7 იანვარს გადასულა სასულიერო სასწავლებელი.

* *
*

„ივერიის" სიტყვით ტფილისის სასულიერო სემინარიასთან არსდება საპედაგოგიო კურსები საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის.

* *
*

როგორც ვუწყით, აზრადა აქვსთ ბათუმისა და ართვინის ოლქები ცალკე გუბერნიად გადააკეთონ. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას უკვე შეუმუშავებია ახალის გუბერნიის დებულებისა და შტატის პროექტი, რომელიც ახლო დროში წარედგინება განსახილველად უმაღლეს მთავრობას.

* *
*

ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მ. სტეფანე დანიშნულ იქმნა საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრად.

—

«მთავრობის მოამბეში" დაბეჭდილია საერო განათლების სამინისტროს ცნობა კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში მომხდარ უწესოებათა შესახებ. შემდეგ ნათქვამია, რომ ამ უწესოების გამო საერო განათლების მინისტრმა წინადადება

მისცა კიევის ოლქის მზრუნველს, 7 დეკემბრის უწესოებაში მონაწილე სტუდენტების შესახებ, მოქმედებაში მოიყვანეთ ის დროებითი წესები, რომელიც დადგენილია, რათა უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებმა, დათხოვნით ამა სასწავლებლებიდგან საერთო უწესოებათა ჩადენისათვის, სამხედრო ბეგარა გარდაიხადონო. კანონის თანახმად შემდგარმა განსაკუთრებულმა საბჭომ, რომლის წევრებადაც იყვნენ წარმოდგენილნი საერო განათლებისა, შინაგან საქმეთა და სასჯულო საქმეთა სამინისტროსანი 15 სხდომა მოანდომა 11-დგან 31 დეკემბრამდის ამ საქმის განხილვას, ჩვენება ჩამოართვა ყველას, ვინც 7 დეკემბრის უწესოებაში მონაწილეობა მიიღო, მოისმინა რა დამსწრეთა წერილობით ჩვენებანი და ხმის უმეტესობით დაადგინა: დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 7 დეკემბრის უწესოებაში, გამოირიცხნენ უნივერსიტეტიდგან და ჩაირიცხნენ სამხედრო სამსახურში სხვა-და-სხვა ვადით.

—

შავ-ჭირთან საბრძოლველად დაარსებული კომიტეტი იუწყება: „პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელი, უმაღლესის ბრძანებით რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის გუბერნიებში გაგზავნილი, რათა ახლად გაჩენილ გადამდებ სენის წინააღმდეგ ღონის ძიებანი მიიღოს იცნობება: სოფ. ვლადიმიროვკაში მოისპო ავადმყოფობანი. სოფელ ალოვკის ახლო მდებარე სამს დაბაში სამარის გუბერნიაში 9-დგან 27 დეკემბრამდე 61 კაცი გახდა ავად, რომელთაგან 44 გარდაიცვალა. ტებეკაისა, ტუბეკსა და მერეკში ავადმყოფობა არ შემწყდარა. 6 იანვარს სამი კაცი გახდა ავად და ეს სამივე ახლად ავად-გამდარი გარდაიცვალა. მისმა უმაღლესობამ საჭიროდ იცნო დაათვალიეროს კასპიის ზღვის ჩრდილოეთის ნაპირნი, ყირგიზის ტრიამელი და ის ადგილები, სადაც მდ. ვოლგა ზღვას ერთვის.

—

მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ გემით „შტანდარტით“ სევასტოპოლში მობრძანდნენ 10 იანვარს, დილის 9 საათზედ, და საღამოს 7 საათსა და 33 წუთს რკინის გზით პეტერბურგს წაბრძანდნენ. გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო საბჭოს სენატორის ტერნერის სახელობაზედ. ტერნერს ებოძა ბრილიანტის ნიშნები ორდენის წმ. ალექსანდრე ნეველისა.

—

7 იანვარს, ავჭალის სახალხო თეატრში ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სახალხო კითხვების მმართველთ დაწყებამდე გააცნეს დამსწრე ხალხს ჩინელთა ყოფა-ცხოვრება. პირველად ლექტორმა მოკლედ ასწერა ჩინეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ჰავა, ნიადაგი, შემდეგ აუხსნა ხალხს— თუ რა განსხვავებაა ამ ყვითელ კანიან ხალხისა და კავკასიის ტომის ხალხთა შორის, ბოლოს ილაპარაკა ჩინელების რაოდენობაზე და მათ შრომის მოყვარეობაზე, სარწმუნოებაზე და ზნე ჩვეულებაზე. ლექტორი შეეხო აგრეთვე სოფლელების და ქალაქების ცხოვრებას, შეუდარა იგი ევროპიელებისას და დაასკვნა მითი, რომ ჩინელთა ასეთი დაცემის მიზეზი უმთავრესად მათი კარჩაკეტილობა არისო. სიტყვის დროს იგი ხალხს ბუნდოვან სურათებსაც უჩვენებდა და უხსნიდა მათს მნიშვნელობას; მიუხედავად ხანგრძლივის კითხვისა, ხალხი გულ-მოდგინედ უგდებდა ყურს ლექტორს.

—

როგორც ევერიას შეუტყვია იბეჭდება ჩვენის პედაგოგის ბ. გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნი, საყმაწვილო მოთხრობათა კრებული—«აკიდო». ამ წიგნში 24 საყმაწვილო მოთხრობა იქმნება მოთავსებული. წიგნს ქუთათური წიგნების ამხანაგობა ჰბეჭდავს.

—

ამას წინეთ ჩვენ დავბეჭდეთ სიტყვა წარმოთქმული საბალაღჩინო მაზრის საღვდელოების კრებაზე, რომელშიაც იყო ნათქვამი: „ვინაიდგან კათედრის ტაძრების დიაჩოქებიც კი იცმენ საქილებიან ჩოხებს, ამას ცუდი გავლენა აქვს სხვა დანარჩენ მედავითნეებზე“. ვაცხადებთ, რომ ამ სიტყვის თქმის დროს ჩვენ გვქონდა სახეში ბოლო ხანებამდის არსებული ჩვეულება და ქუთაისის კათედრის სობორო სრულებით სახეში არ გვქონებია, ვინაიდგან ამ ტაძარში მედავითნეების ადგილზედ მთავარ-დიაკვნები მსახურებენ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და ვეთილ-ზნეობაზე.

—

ხმა მაცხოვრისა ეკკლესიის მწყემსისადმი.

«სახე მიგეც თქვენ, რათა ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ყოფდეთ". (იოან. 13,15).

მოძღვარო ჩემის ეკკლესიისავ—ჩემო მსახურო! მე გამოგირჩიე შენ უმრავლესს ჩემს ხალხთაგან და ჩემის სისხლით გამოჰყიდულ სულთა მწყემსად

დაგადგინე. მოგანიჭე უფლება, რომ აუწყო, უქადაგო მათ ჩემი სახელი, შეასწავლო მათ მათი მოვალეობა, ააცდინო ცოდვებს, აუსრულო ჩემი სამღვთო მსახურება. ამასთან მე მოგანიჭე შენ მადლი, რათა გაანათლო რწმუნებული შენდამო სამწყსო მღვდელ-მოქმედებით, რომ შენის დაუცხრომელი ლოცვა-ვედრების შემწეობით მიაღწიონ და ეღირსონ ციურ კეთილთა სისრულის მიღებას.

ნუ ზოგავ, მოძღვარო, ძალ-ღონეს, რათა გამართლო ეს შენი მაღალი მოწოდება. ერთ-გულად მიჰყევ ჩემ მიერ მოცემულ მაგალითს, დაუცხრომლად ეცადე, რომ შენში გამოიხატოს ჩემი სახე, ეჩვენე სამწყსოს იმდენად სრული, რომ მაყურებელნი ხედვიდენ შენში ჩემს სახეს.

მე ვარ ლია წიგნი ყველასათვის. უკეთუ მე შემისწავლი, საკმარისი იქნება შენთვის, რათა გახდე ღირსეული მოძღვარი—სამღვდელო მოსამსახურე. სცან მხოლოდ ჩემი ღვთაებრივი ცხოვრება და ეცადე შენს ცხოვრებაში მის მიბაძვა-განხორციელებას.

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ I.

იესო ქრისტე, როგორც მაგალითი მდვდლისათვის შინაგანი და გარეგანი ცხოვრების და ქველ-მოქმედების სრულების საქმეში.

თავი I. შინაგანი ცხოვრება.

1. მე წარმოგიდგენ წმიდას, გაუსვრელს სარკეს და ღვთაებრივი მადლის ჭეშმარიტს სახეს; და შენც, მწყემსო ჩემის ეკკლესიისავ,—იყავ ჩირქ მოუცხებელი სარკე—გამომხატველი ჩემის მადლისა, რამდენადაც კი ხელს გიწყობს შენი კაცობრიული ბუნება. ნუ კმაყოფილდები მით, რომ არ ჩადიხარ მომაკვდინებელ ცოდვებს, არამედ ააცდინე თვით წვლილმანი ნაკლიც, და ნურასოდეს ნუ ჩაიდენ განზრახ ცოდვას. ცნობიერებით და განზრახ ჩადენილი ცოდვა ერის კაცშიაც მძაგს მე, მით უფრო მეზიზღება, თუ ის (ცოდვა) განზრახ ჩადენილია მწყემსის, ჩემის სახლის მასწავლებლის, ქველ-მომქმედის მიერ.

მე ხომ ზედ-მეტს არაფერს გავალებ მით, რომ შენგან ვითხოვ არა შეურაცმყო-მეთქი? განა გაქვს სიმართლე, რომ ეს მისაყვედურო? რომელი მამა არ მოსთხოვს ამას თვით უუსაყვარლესს შვილს? რომელი სახლის უფროსი არ მოსთხოვს ამას თვით უსაყვარლეს მოსამსახურესაც? დაიცევ შენი გული უმწიკვლოდ და იყავ ჩირქ-მოუცხებელ სარკედ.

2. მაგრამ იყავ ამავე დროს ღვთაებრივი სახიერების გამომხატველადაც. არ კმარა შენის სულისათვის მარტო ის, რომ იგი უცოდველია, საჭიროა კიდევ, რომ შემკული იყვეს ქველ-მოქმედებითაც. ნუ იკმარებ მარტო იმას, რომ ერიდები ყოველივეს, რაც მე არ მნებავს, არამედ ერთგულად ეცადე აასრულო, მოიმოქმედო ყოველივე ისიც, რაც მე მასიამოვნებს, ერთის სიტყვით იშრომე, რათა სრულ იყო ყოველის მხრით. სამღვთო წერილი და წმ. მამათა მოძღვრებანი მრავალ-გზის გამცნებენ შენ, რომ მღვდელი ვალდებულია დაეწაფოს სისრულეს, და როდესაც არ სურს მიბაძოს ცხოვრების იმ გვამთა, რომელთაც ქველ-მოქმედებით დაიმსახურეს სისრულე, მაშინ ის დიდ საფიქრებელშია, რომ მასაც არ ერგოს წილად სიკვდილი გარისხულ გვამთა. ეცადე, რომ ისარგებლო ამ მშვენიერი მოძღვრება-დარიგებით, და მით შეიქმნე ჩირქ-მოუცხებელ სარკედ, ცხოველ სახედ ღვთაებრივი სახიერებისა.

თავი II. გარეგანი ცხოვრება.

ჩემს ცხოვრებას ქვეყნად, რომელიც უსრულესი და უმანკო იყო, საზოგადო ხასიათი ჰქონდა. ის მაგალითად გამოადგება ყველას, რომელი წოდებისა და მდგომარეობისაც იყოს კაცი. მე არ გამიხდია ჩემ საცხოვრებელ ადგილად მივარდნილი, უდაბური ადგილი, პირ იქით საუმჯობესოდ ვსცანი ხალხში ცხოვრება, რომ უფრო მოხდენილად მესაუბრა მათთან და მესწავლებინა მათთვის სიკეთე. ჩემის ზეციური მამის სადიდებლად და წაწყმედულთა ცხოვნებისათვის მე არ ვერიდებოდი მოწაფეებითურთ მეზვერეთა და საზოგადოდ ცოდვილთა თანა სერობას, და ხშირად ვეპატიჟებოდი მათ სახლშიდაც, (და იყო სჯდა რა იგი ინახით სახლსა შინა და მრავალნი მეზვერენი და ცოდვილნი თანა სხდეს ინახით იესოს თანა და მოწაფეთა მისთა თანა“ მათ. 9, 10). მე ერთხელ, ხომ შენც იცი, ქორწილში მონაწილეობის მიღებაც ვისურვე («მიხადეს იესოს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას“ იოან. II 2). მე არ მქონებია ჩვეულებად ხანგრძლივი მარხულობა («მოვიდა ძე კაცისა, ჭამს და სვამს და იტყვიან აჰა კაცი, მჭამელი და ღვინის მსმელი, მეგობარი მეზვერეთა და ცოდვილთა“ მათ. 11, 19), არც ჩემს მოწაფეებს ვაიძულებდი ხანგრძლივად ემარხულათ და დასუსტებულიყვნენ («მოუხდეს მოწაფენი იოანესნი და ეტყოდეს: რასათვის ჩვენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენნი შენნი არა იმარხვენ?» მათ. 9, 14). მე სიღარიბესაც ადვილად ვიტანდი, მაგრამ მაინც ვღებულობდი ძღვნად მორთმეულს გროშებსა და მოწაფეებსაც ვაგონებდი დაეზოგათ ამ ძღვნიდგან რამდენიმე სხვა დროის საჭიროებისათვის („მოწაფენი მისნი წასრულ იყვნეს ქალაქად, რათა საზრდელი იყიდონ“ იოან. IV, 8).

იყავ შენი ცხოვრებაც, მღვდელო, ერთობლივი, კარ-ღია, რომ სოფელმა, რომელიც თვალს გადევნებს შენ, ვერ დაგაყვედროს სისუსტე, რომ საჭიროებისა და გასაჭირის დროს შენში ნუგეშს ხედვიდენ და შენი იმედი ქონდეთ. იმისათვის, ვისაც მე ურჩევ განცალკევებულ ცხოვრებას, მსოფლიური ცხოვრების უარ-ყოფას, დადგენილი მაქვს განსაკუთრებული წესდება. იმათი მოწოდებაა, რომ ღვთაებრივი დიდება სულ სხვა სახით აუწყონ ხალხს. მაგრამ შენ, რომელიც დადგენილი ხარ მღვდლად, და რომელსაც ის განსხვავებული მოწოდება არ მიგიღია, ვალდებული ხარ ატარო კარ-ღია ცხოვრება; შენი ცხოვრება სავსე უნდა იყვეს ქველ-მოქმედებით, მაგამ ამავე დროს უნდა იყვეს ერთობლივი, მსგავსი ჩემის ცხოვრებისა.

(გაგრძელება იქნება).

ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ,

დასარიგებლად იმ მრევლთა, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ჩუვაშების ენაზე ღვთის-მსახურების შემოღებისა.

რა ჟამს იგი გარდამოხდა და ენანი შეურივნა მიმოდაყვნა მაღალმან ნათესავნი, ხოლო აწ რა ჟამს ცეცხლისა ენანი, განუყვნა ერთბამად მიიყვანნა იგინი, ამისთვისცა ერთობით ვადიდებდეთ სულსა ყოვლად წმიდასა, თანასწორსა მამისა და ძისასა. (კონდ. მეერგასე კვირიაკისა).

ამ სოფელში ჩემი სამსახურის დაწყების პირველი დღიდამვე შევიტყვე მე, რომ ჩემი სამრევლოის ზოგიერთ რუსებს სასიამოვნოდ არ ურჩებათ და უკმაყოფილებასაც აცხადებენ ჩემზე, რომ მე ღვთის-მსახურების ზოგიერთ ნაწილს ვასრულებ ჩუვაშურ ენაზე და აგრეთვე სწავლა-მოძღვრებას ვამბობ ხოლმე როგორც რუსულ ენაზე, ისე ჩუვაშურზე. სხვისი თქმაც არ იყო საჭირო. მე არა ერთ გზის შემინიშნავს ტაძარში, ღვთის-მსახურების დროს, ეს უკმაყოფილება: როცა მოძღვრებას ვამბობ რუსულ ენაზე, ყველანი კრძალულებით დგანან ტაძარში და ყურადღებით ისმენენ; მაგრამ, როცა ამავე მოძღვრებას ვამბობ ჩუვაშურს ენაზე, ჩემდა სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი რუსებისა, რასაკვირველია, ჩემი სამრევლოთაგანნი, ატეხენ ხველებას და ურთიერთ შორის მუსაიფს, გადახედვენ ერთი-ერთმანეთს და ზოგჯერ კიდეც იცინიან; მზგავსი მოქმედებით ისინი ცხადათ გამოხატვენ თავიანთ უკმაყოფილებას ჩემ მიერ ჩუვაშურ ენაზე ქადაგების წარმოთქმისათვის.

ძმანნო! ნუ თუ არ უწყით, რომ ღვთის-მსახურების დროს ტაძარში ასეთი უწესოების ჩადენა ფრიად საზიზღარი და წინააღმდეგია ღვთისათვის, რომელიც უხილავად იმყოფება აქ თავისი მადლით? ის ჩემი სამრევლონი ქალნი და კაცნი, რომელნიც სიცილს და ლაპარაკს იწყებენ ტაძარში, როცა მე ლოცვებს და მოძღვრებას ვამბობ ჩუვაშურს ენაზე, აშკარად ამტკიცებენ, რომ მათ არა აქვსთ ძმური სიყვარული და დამოკიდებულება მათ მეზობელ ჩუვაშებთან და არც ეშინიათ ყველგან მყოფი ღვთისა, რომლის სახლშიაც ისინი იმყოფებიან. ვისაც აქვს ღვთის შიში, გულწრფელად უყვარს ღმერთი და თავისი მოყვასი და სურს იქნეს ჭეშმარიტი ქრისტიანე, ის არას დროს არ მოიქცევა ტაძარში ასე ურიგოდ, არას დროს გულში არ გაივლებს, რომ ტაძარში ლოცვა-ვედრების დროს დასცინოს თავის მოყვასს.

როგორც თქვენი სულიერი მწყემსი, ჩემ მოვალეობად ვრაცხ გითხრათ თქვენ, რომ ჩუვაშთათვის აუცილებლად საჭიროა მათ სამშობლო ენაზე ლოცვების და მოღვრების წარმოთქმა. და აი რისთვის:

წმ. მეორმოცდა ათ დღეს, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ გადმოავლინა თავის მოწაფეებზე და მოციქულებზე სული წმინდა, უფალმა ამავე დროს მიმადლა მათ ნიჭი სხვა-და-სხვა ენებზე ლაპარაკისა და ამით აუხსნა მათ, რომ ხალხნი და ქვეყნიურნი ტომნი უნდა განათლდნენ მათ ენაზე. როგორც კი მიიღეს მოციქულებმა სული წმიდის მადლი, იგინი მაშინვე წავიდ-წამოვიდნენ სხვა-დასხვა მხარეებში და უქადაგებდნენ იესო ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას სხვა ხალხთა მათ გასაგებ ენებზე, ასე რომ ყოველსა კიდესა განხადა ხმა მათი და კიდეთა ქვეყანისათა სიტყვანი მათნი.

წმიდა მოციქული პავლე, რომელმაც ბევრი იღვაწა კერპთაყვანისმცემელთა ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევისათვის, სწერს: ხოდო აწ, ძმანნო, მოთუვიდე თქვენდა, და უცხოთა ენათა ზედა ვიტყოდე, რაიმე გარგო თქვენ? ეგრეცა თქვენ ენისა მიერ უკეთუ არა გამოცხადებულად სიტყვანი იგი გამოსცეთ; ვითარ სცნაურ იქნეს თქმული იგი? (ა კორინთ. IV, 6 9).

წმ. მოციქულთა მოადგილენი, მართლ-მადიდებელნი მღვდელ-მთავარნი სარწმუნოების მქადაგებელნი ავრცელებდნენ ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ადგილობრივი მკვიდრნი. წმ. იოანნე ოქროპირმა თარგმნა საღმრთო და ღვთის-მსახურების წიგნები გოტფების ენაზე და კონსტანტინეპოლის ერთ ტაძარში გამართა ღვთის-მსახურება გოტფების ენაზე. სლავიანების პირველმა განმანათლებლებმა წმ. ძმათ კირილე და მეთოდემ გამოიგონეს სლოვიანური ანბანი და სთარგმნეს საღმრთო და საეკკლესიო წიგნები სლავიანურ ენაზე, და სწორეთ ამ საშუალებით, ასე წარმატებით გავრცელდა ქრისტეს სწავლა სლავიანთა შორის; რომელთა შორის სამხრეთ სლავიანები: სერბები, ბულგარები, და სხვანი ქრისტეს სარწმუნოებაზე, კირილე და მეთოდემდე უკვე ადრე იყვნენ მოქცეულნი, მაგრამ რადგან საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები ნათარგმნი არა ჰქონდათ თავიანთ სამშობლო ენაზე, ამიტომ ისინი ისევ კერპთაყვანისმცემლობასა შინა იმყოფებოდნენ. მე XIV საუკუნის დასასრულს პერმის მღვდელ-მთავარმა წმ. სტეფანემ, რომ მას პერმელთა შორის გაევრცელებია ქრისტეს სწავლა, თარგმნა

საეკლესიო და სხვა წიგნები ზირიელს ენაზე, გამართა ღვთის-მსახურება ამ ნათარგმნი წიგნების საშუალებით, დაარსა სკოლები, რომლებშიაც ზირიელთა შვილებს ასწავლიდა საღმრთო წერილს მათ სამშობლო ენაზე და ამ მოსწავლეთაგან საუკეთესოთ ნიშნავდა შემდეგ მღვდლებად. საეკლესიო ისტორიაში სხვა ბევრი საბუთებიც არის, რომელნიც აშკარად გვიჩვენებენ, რომ მართლ-მადიდებელი ეკლესია, ქრისტეს სწავლა-მოძღვრების მტკიცედ დაფუძნებისათვის თვის შვილთა შორის, ყოველთვის ხმარობდა ადგილობით ენას, როგორც ქადაგების, ისე ღვთის-მსახურებისათვის. ამიტომაც ამ ჩვენს პროლეისკის ტაძარშიაც, ჩვენი მწყემსთ-მთავრის ლოცვა-კურთხევით, ღვთის მსახურების ზოგიერთი ნაწილი სრულდება ჩუვაშთა ენაზე, რომელნიც შეადგენენ უმეტეს ნაწილს ამ ჩემი სამრევლოისას.

ესეც რომ არ იყოს, ყოველი შეგნებული კაცი, საღმრთო წერილი და საეკლესიო ისტორიაც რომ არ ექნეს მას შესწავლილი, გაიგებს, რომ სარწმუნოების შესახებ ყოველი სწავლა გადაცემულ უნდა იქნეს გასაგებ სამშობლო ენაზე. ამაზე უკეთესი საშუალება სხვა არაფერი მოიპოვება. ყოველ გვარი დარიგება სარწმუნოების შესახებ, რომელიც წარმოებს გასაგებ სამშობლო ენაზე, ხვდება ჩვენს გულს და მტკიცედ იკიდებს იქ ფესვს; როცა ყოველი ეს სწარმოებს უცხო ენაზე, მაშინ სწავლა-დარიგება არ ხვდება ჩვენს გულს და არც სანატრელ ზედ-გავლენას ახდენს მსმენელებზე. როცა ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტებათ გადმოგვცემენ უცხო ენაზე, კიდეც რომ ეს ენა საკმაოდ ვიცოდეთ, გადმოცემული სიტყვა-მოძღვრება რაღაც სასურველ ზედ-გავლენას ვერ ახდენს ჩვენზე და არც გულის სიღრმემდე უწევს. და ამიტომ მზგავსი სიტყვა-მოძღვრებით სასურველად ვერ დავნერგავთ ქრისტეს სარწმუნოებას სხვა აღმსარებელთა შორის.

შემდეგ, წარმოიდგინეთ ასეთი მაგალითიც: ვსთქვათ რუსეთის სამრევლოთათვის ღვთის-მსახურება სრულდებოდეს ჩვენს ტაძარში ბერძნულად, რა თქმა უნდა ასეთი ღვთის-მსახურება რუსთათვის იქნებოდა უსარგებლო. ტაძარში ჩვენ მოვისმენდით ღვთის-მსახურებას ბერძნულს ენაზე, გავიგონებდით გალობის და ლოცვების ხმებს, მაგრამ ღვთის-მსახურების მადლიერი ძალა არ მოხვდებოდა ჩვენს სულსა და გულს და ვერც სულიერად დაგვატკბობდა ეს მსახურება. სწორედ ასე უსარგებლოა სლოვიანურს ენაზე ღვთის-მსახურების შესრულება ჩუვაშთათვისაც, რომელთაც სრულებით არაფერი არ გაეგებათ არა თუ სლავიანური ენისა, რუსული ენაც კი არ ესმით.

თქვენ ამბობთ, რომ აქაურმა ჩუვაშელებმა იციან რუსული ენაო და ამიტომ საჭირო არ არის მათ ენაზე შეავსრულოთ ღვთის-მსახურებაო. მაგრამ განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ ამ რუსული ენის ცოდნამ ვერ გაავრცელა მათში ქრისტეს სარწმუნოება? მართალია, აქაური ჩუვაშები დამტვრეული რუსული ენით ლაპარაკობენ, მაგრამ ცხოვრებით კი ისე არ ცხოვრებენ, როგორც მართლ-მადიდებელს შეფერის, რუსების სარწმუნოებრივ ჩვეულებათა და წესებს არ ასრულებენ; იგინი ცხოვრებით და სარწმუნოებით იგივე კერპ-თაყვანის მცემელნი არიან, როგორებიც იყვნენ ნათლის ღებამდე. მათ იციან რუსული ენა და მას ხმარობენ იგინი ამ წუთი სოფლის საჭიროების დროს, მზგავსად მისსა, როგორც მათ იციან თათრული ენა, რომელსაც ხმარობენ თათრებთან შეხვედრის დროს.

ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე ბუნების მოვლენათა და გავსინჯოთ ისინი, თუ რას გვასწავებენ: ბაღში იზრდებიან სხვა-და სხვა ხეები; გაზაფხულზე ამ ხეებზე იზრდება მრავალი სხვა-და-სხვა გვარი მშვენიერი ყვავილები, რომელნიც საუცხოვო სურათს წარმოგვიდგენენ და ჩვენც სიამოვნებით დავდივართ ბაღში და ვსტკბებით ამ ყვავილების ნახვით და სასიამოვნო სუნით. ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკლესია წარმოადგენს მშვენიერ ბაღს, რომელშიაც და რომლის მფარველობის ქვეშაც ცხოვრებენ სხვა-და-სხვა ხალხნი და თემნი. ბაღში გაზაფხულობით გალობენ სხვა-და-სხვა მგალობელნი ფრინველები, თითოეული მათგანი ადიდებს გამჩენს თავისებურად და ამით ერთი ერთმანეთს არაფერს არ უშლიან. რა კარგია მათი გალობის მოსმენა, განსაკუთრებით დილაობით! მე ვფიქრობ, რომ თითოეულ ამ ფრინველთაგანს თავისი საკუთარი გალობა დიდ სიამოვნებას აძლევს. ჩვენ—გონიერ ქმნილებათ კი რატომ არა გვსურს, რომ ჩუვაშებმა ადიდონ ღმერთი თავიანთ მშობლიურ ენაზე, რომელ ენაზე შესრულებული ქრისტიანული ღვთის-მსახურება უსათუოდ ანიჭებს მათ დიდ სულიერ ნუგეშს? როგორ ვბედავთ ჩვენ, დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ ჩუვაშები, ჩვენი თანამცხოვრებნი და ერთ-მორწმუნენი მოკლებულ იქმნენ ამ სულიერ სიკეთეს?..

სხვა აღმსარებელთა ენაზე ღვთის-მსახურების გადათარგმნის მოწინააღმდეგენი იყვნენ წინათაც. 1382 წელს, როცა წმ. სტეფანე პერმელი მივიდა მოსკოვში და წარადგინა თავისი ნათარგმნი წიგნები ზირიელს ენაზე უმაღლესი სასულიერო მთავრობის ნებისა და ლოცვა-კურთხევის მისაღებად, მაშინ (ნათქვამია წმ. სტეფანეს ცხოვრების აღწერილობაში) „ვინმემ, რომელიც იყო გონებით ღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურების და ქადაგების წარმოთქმის დროს, ყველა ასეთი ცოდვილნი მოაკლდებიან ღვთის კურთხევას და ჩემ მიერ მიეცემიან განსჯას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. მაცხოვარი სასტიკად დასჯის მათ, რომელნიც საცინად იგდებენ მისი მაცხოვნებელი სარწმუნოების ჭეშმარიტებათა, რომელთაც გადაცემენ ჩუვაშებს მათ გასაგებ საშობლო ენაზე. რუსები კი არ უნდა დასცინოდენ ამას, არამედ უნდა უხაროდესთ და მაოლობას უნდა სწირავდნენ ღმერთსა მისთვის, რომ იგი სხვა თემთა საშუალებას აძლევს შეიგნონ ღმერთი, შეიყვარონ იგი და ადიდონ და ამ მხრით შეიძინონ ცხოვნება, —უნდა უხაროდესთ და ყოველის მხრით უნდა შველოდნენ, რომ ჩუვაშებ შორის დამკვიდრდეს მართლ-მადიდებლობა. ამას, რასაკვირველია, ჩაიდენდნენ კიდეც ისინი, რომ მათ თვით ნამდვილად ესმოდეთ ქრისტეს სარწმუნოების და კეთილ-მსახურების სწავლა და იყვნენ მით გამსჭვალულნი; მაგრამ ვინ არ უწყის, რომ ბევრი და ფრიად ბევრი რუსები მარტო სახელით არიან მართლ-მადიდებელი ქრისტიანენი, და ცხოვრებით კი სრულიად ქრისტიანულად არ ცხოვრებენ, ეძლევიან მთვრალობას, გარყვნილებას, ქურდობას, ვერაგობას, მკვლელობას, და ბევრ სხვა ცუდ საქმეებს და ბიწიერებათ ჩადიან, რითაც მრავალ კერპთ-თაყვანის მცემელთ უშლიან ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევას; ამ კერპთ-თაყვანის მცემელთაგან ხშირად გვსმენია, როცა ჩვენ მათთვის გვირჩევია ქრისტეს სარწმუნოების მიღება: «ჩვენ კიდეც გვსურდა ქრისტიანობის მიღება, ვინაიდგან კარგად ვგრძნობთ ქრისტიანობის უპირატესობას კერპთ-თაყვანის მცემლობის წინაშე, მაგრამ გვეშინია არ შევიქნეთ ისეთი გარყვნილები, ქურდები, ავაზაკები და მცარცველნი, როგორიც რუსები არიან, და ამიტომ ვერ ვიღებთ ნათლისღებას»... ამ სახით მართლ-მადიდებელ რუსებზე, რომელნიც ქრისტეს სარწმუნოების თანახმად არ ცხოვრებენ მართლდება წმ. პავლე მოციქულის სიტყვები: „თქვენ მიერ ღვთის სახელი შეიგინების ხალხთა შორის». ნამდვილი მართლ-მადიდებელი რუსი თავისი მტკიცე სარწმუნოებით და კეთილი ცხოვრებით მაგალითი უნდა იქნეს სხვა თემთათვის და ყოველი ღონის ძიებით უნდა ეხმარებოდეს, რომ ეს სხვა აღმსარებელნი სულიერად განათლდნენ ქრისტეს სარწმუნოებით და ხელი არ უნდა შეუშალონ ამ წმიდა და დიდ საქმეს. ვინც ამას ჩაიდენს, იგი მიეცემა ღვთის მიერ საუკუნო წყ[illegible]. („Паст. Соб.“ № 42 1900 წ.)

რედაქციის პასუხი.

—

ბ. მ. ხუროშვილს. რამდენი წიგნთ-საცავი გაიხსნება, ყველას რომ მუქთად უგზავნოთ წიგნები და გაზეთები, ეს შეუძლებელია.

მ. ა. ბოჭორიშვილს. დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით ორივე გამოცემას. თქვენი წერილები მივიღე, თუ ნება მოგვცეს, სიამოვნებით დავბეჭდავთ.

მ. ი. ი.ა.შვილს. აკაკის კრებულს რადგან ნება არ მიეცა საპოლემიკო სტატიების ბეჭვდისა შეჩერდა, და ვგონებ სამუდამოთაც.

მ. მ.ა ჩარგ.—ს. დიდად გმადლობ მოკითხვისთვის. ღმერთმან ინებოს ასრულებულიყოს თქვენი და ჩემი სურვილი.

ბ. დ. კ.ვკ.ასიძეს. გმადლობთ 1896 წ. „მწყემსის“ ფულის გამოგზავნისთვის. მე აღარც კი მახსოვდა. ასე კარგია პატიოსნება. ნეტავი თქვენ წაგბაძავდეს ზოგიერთები.

ქ. ხარკოვის უნივერს. სტ—ბს. სიამოვნებით გითმობს უფასოთ ჟურნალის „მწყემსის“ რედაქცია თავის გამოცემათა — ყველა უნივერსიტეტების და აკადემიების სტუდენტთა.

მ. ე. კვან—ძეს. უფასოთ დათმობა არ შეიძლება „მწყემსისა“, რადგან საპატიო მიზეზი სიღარიბისა არა სჩანს რა.

ბ. მ.ა ის. ვა.ჩ—ლს. დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენ თხოვნას და უგზავნით იმ ღარიბ მღვდელს, რომელსაც ასე ეხალისება კითხვა ჟურნალისა და საშუალება კი არ ქონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვეები.	რიცხ.	კვირ.	ხმ ს.	სტ. ს.	თვეები.	რიცხ.	კვირ.	ხმ ს.	სტ. ს.
იანვარი.	7	32	7	10	ივლისი.	1	6	5	6
	14	33	8	11		8	7	6	7
	21	34	1	1		15	8	7	8
	28	35	2	2		22	9	8	9
						29	10	1	10
თებერვალი.	4	36	3	3	აგვისტო.	5	11	2	11
	11	37	4	4		12	12	3	1
	18	1	5	5		19	13	4	2
	25	2	6	6		26	14	5	3
მარტი.	4	3	7	7	სექტემბერი.	2	15	6	4
	11	4	8	8		9	16	7	5
	18	5	1	9		16	17	8	6
	25	6	2	10		23	18	1	7
						30	19	2	8
აპრილი.					ოქტომბერი.	7	20	3	9
აღდგომა	1	1	„	„		24	21	4	10
	8	2	1	1		21	22	5	11
	15	3	2	3		28	23	6	1
	22	4	3	4					
	29	5	4	7					
მაისი.	6	6	5	8	ნოემბერი.	4	24	7	2
	13	7	6	10		11	25	8	3
	20	8	7	11		18	26	1	4
	27	1	8	1		25	27	2	5
ივნისი.	3	2	1	2	დეკემბერი.	2	28	3	6
	10	3	2	3		9	29	4	7
	17	4	3	4		16	30	5	8
	24	5	4	5		23	31	6	9
						30	32	7	10

ᲬᲐᲕᲘᲗᲐᲚ, თუ რამელ კვირა დღეს რა ხმა იხმარება და რამელი სტილსკრა სასარგებლა ᲬᲚᲘᲡ 1901 წ.

ᲐᲛ 1901 წ. მზის დაბნელება მოხდება ორჯერ და მთვარისაც ორჯერ.

მზის სრული ღაბნელება იქნება 5 მაისს. დაიწყება დილის 5 საათსა და 30 წ. და გათავდება 10 საათსა და 38 წ. დილით.

რგოლის მსგავსი მზის დაბნელება მოხდება 29 ოქტომბერს. დაიწყება დილის 7 საათზე და დასრულდება დღის 12 საათსა და 57 წამზე.

მთვარის დაბნელება ნახევრობით იქნება 20 აპრილს. კერძო დაბნელება მთვარის, რომელიც გამოჩნდება რუსეთის აზიის ქვეყნებში დაიწყება 14 ოქტომბერს 4 საათზე და 55 წ. დღისით და დასრულდება 6 საათსა და 36 წ. საღამოით.

განცხადებანი

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც. თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარიოვთან; **სიჩხერეში**—ყარაბან ჩაეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ახალსენაკში**—ბლაგოჩინ მაჰა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** დეისაძის სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშემცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული **დიდი სურათი** ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულ-სარქეოლოგიურ და საგეოგრაფიულ-საეტნოგრაფო ყოველ-თვიური სურათებიანი ჟურნალი

„მოგზაური“

მომავალ 1901 წლის იანვრიდგან, მთავრობის ნებადართვით, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის რედაქტორობით, გამოვა ქართული ახალი ჟურნალი „მოგზაური“. ჟურნალს მიზნად აქვს ადგილობრივ ასწეროს და დაასურათოს ჩვენის ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ნაშთი, საგანი და პირი. გარდა ამისა ჟურნალი ადგილს მისცემს თავისს ფურცლებზედა საქართველოს და მისს ნაწილთა და მკვიდრთა შესახებ ყოველ გვარ სტატიებსა, მოთხრობებსა, პოემებსა, ლექსებსა, გარდმოცემებსა და ზღაპრებსა ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ შინაარსის.

პირველი ნომერი გამოვა საახალწლოდ, ხოლო შემდეგნი ყოველ თვის პირველ რიცხვებში, ერთიდამ ორ ბეჭდურ თაბახამდის (32—64 გვერ.) და ეღირება წლით 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მან. რადგანაც გამოცემა ასეთის სპეციალურის ჟურნალისა იაფად არ დაჯდება, ვთხოვთ ჩვენის წარსულის და ქვეყნის მოყვარეთ დაგვეხმარნენ ამ ახალს საქმეში ხელის მოწერით და შესაფერის სტატიების და სურათების გამოგზავნით. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ въ Радакцію „Могзаури“.

ტფილისში მცხოვრებთაგან ხელის მოწერა მიიღება წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების და ი. იმედაშვილის წიგნების მაღაზიებში,

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე, შუადღის სამ საათზედ, ბაქრაძის სახლებში № 20, დავითის ვიწრო ქუჩაზედ. 3—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამდეგ 1901 წლისათვის
მიღება ხელის მოწერა

„მოამბე“-„ცნობის-ფურცელზე“

—

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალის გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან., 6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. სამზღვარ-გარეთ: ერთი წლით 13 მან. 6 თვით 7 მან. სამი თვით 5 მან.

წლიური ფასის განაწილება: პირველად 5 მან. 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეექვსე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ. 6 თვით 4 მ. 1 თვით 75 კაპ., სამზღვარ-გარეთ: ერთი წლით 9 მან., 6 თვით 7 მ., 1 თვით 90 კ.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—3 მან., პირველ აპრილამდე—3 მ., თითო ნომერი—3 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილ.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოდის 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებული ფორმატით.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე 5 კაპეიკი.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ედირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

3—2

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

გამოვა 1901 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინათ

ფასი გაზეთისა:

12 თთვით	. .	10 მ. — კ.		6 »	. . .	6 მ. » კ.	
11 »	. .	9 » 50 »		5 »	. . .	5 » 50	
10 »	. .	8 » 75 »		4 »	. . .	4 » 75	
9 »	. .	8 » — »		3 »	. . .	3 » 50	
8 »	. .	7 » 25 »		2 »	. . .	2 » 75	
7 »	. .	6 » 50 »		1 »	. . .	1 „ 50	

საზღვარ გარეთ დაბარებული ედირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Редакція «Иверія».

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მან.; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ მარტს —2 მან. პირველ მაისს—3 და პირველ სექტემბერს—2 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვ. თითოჯერ სტრიქ.—8 კ., პირველზედ—16 კაპ.

.....

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ნაშუადღევის პირველ საათიდგან სამ საათამდე.

რედაქცია იმყოფება:

ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

3—2

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„ᲙᲕᲐᲚᲘ“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელში ყოველ კვირაში ერთხელ გაფართოვებული პროგრამით ერთიდგან სამ თაბახამდე.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალ წლიდგან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. და 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთი, სამი თვით 2 მან., თითო ნომერი 50 შაურად.

ხელისმომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გაიგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში“ (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით «კვალის» რედაქციაში—საპერნის ქ., № 15, ალექსანდროვის ბაღის გვერდით.

ქუთაისში: მიტროპანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათომში კ. დავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალსენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში, ჭიათურაში კარპე მოდებაძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Квали“

3—2

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔ-12-ᲢᲔ

გამოვა 1900 ᲬᲬ. ერთხელ იმავე პროგრამით, როგორაც აქამდე

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირს—4 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში — «წერა-კითხ. გამ. საზოგადოების» კანცელარიაში და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію рузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».

3—2

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. Დ. Ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 Января *1901 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

ტაკი, სთქვა: რისთვის შეუქმნიათ წიგნები პერმიელი, ანუ რა საჭიროებისათვის შეუდგენიათ პერმული ანბანი წერა-კითხვის შესასწავლად?“ მზგავსადვე ამისა, ვინმე, მოკლე ჭკუა-გონების მექონე პირი ბევრია ჩვენ დროშიაც, თვით ჩვენ სოფელში; იგინი, წინააღმდეგ მართლ გონიერებისა, ისტორიულ საბუთებისა და აწმყო დროის გამოცდილებათა, ამტკიცებენ, რომ სრულებით საჭირო არ არის ღვთის-მსახურების და მოძღვრებათა თარგმნა ჩუვაშების ენაზეო.

ძმანნო! ნუ თუ არასოდეს ყურადღება არ მიგიქცევიათ იმ გარემოებისათვის, რომ ზოგიერთი ჩუვაშები, რომელთაც უკვე ნათელ იღეს, ისევ ძველებურ კერპთ-თაყვანისმცემლობასა შინა იმყოფებიან? ამის ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ჩუაშებს არ ესმოდათ ღვთის-მსახურება და მოძღვრება, რომლებიც უწინ სრულდებოდა მათ შორის მხოლოდ სლავიანურს ანუ რუსულს ენაზე. მას შემდეგ, რაც ჩუვაშები შემოუერთდნენ რუსეთის ეკკლესიას, მათთვის ბევრს სოფლებში ააშენეს ტაძრები, რომლებშიაც იწყეს ღვთის-მსახურების აღსრულება და საუბრების წარმოთქმა სლავიანურს ენაზე. მაგრამ ამ სახით ჩუვაშლებს შორის ვერ გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება და ვერ მოისპო მათში მათი კერპთ-თაყვანის ცემლური ჩვეულებანი. ჩუვაშებმა, როგორც ნახევრობით კერპთ-თაყვანის მცემელმა და გაუნათლებელმა ხალხმა, არ უარ ჰყვეს ქრისტიანობა მსგავსად თათრებისა და იუდეველებისა, მაგრამ შეთვისებით კი ვერ შეითვისეს იგი. იმ დღიდგან, როცა ჩუვაშებმა პირველად ნათელ იღეს, მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ ჭეშმარიტი მართ-მადიდებელი სწავლა ღმერთზე, ღვთისმშობელზე, წმ. ანგელოზებზე და მოწაფეებზე, აგრეთვე წმ. ხატებზე და წმ. ნაწილებზე და მათ პატივის ცემაზე, დღემდისაც კი ვერ შეუგნიათ მათ და ისინი დღესაც თავისებურად სჯიან ღმერთზე. გარდა ამისა ჩუვაშებს შემცდარი და ნამდვილი კერპთ-თაყვანისცემური შეხედულება აქვსთ წმიდა ტაძრებზედაც. როცა მათ დაინახეს, რომ რუსები გულმოდგინედ დადიან ტაძრებში და კრძალულებით თაყვანსა ცემენ ხატებს, ჩუვაშებმაც მიბაძეს ამ შემთხვევაში რუსებს. მათ, მართალია, მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ თავისებურად შეითვისეს იგი. წმიდა ხატებს და ტაძრებს იგინი უცქერიან იმავე თვალით, რა თვალითაც უცქეროდნენ თავიანთ სამლოცველოებს, ქვეყნიურ ღვთაებათა, როგორც კეთილთა ისე ბოროტთა. ჩუვაშების ასეთი შემცდარი შეხედულება ქრისტიანობაზე შედეგია იმისი, რომ მათ არ ასწავლიდნენ ქრისტეს სარწმუნოებას მათ გასაგებ ენაზე.

ძლიერ სამწუხაროა, რომ ნათელ-ღებულნი ჩუვაშები აზროვნობენ და ცხოვრებენ კერპთ-თაყვანისცემლურად და კიდევ უმეტესად სამწუხარო ისაა, რომ იგინი, ჩვენი დაუდევრობით მათი განათლების შესახებ, მოაკლდებიან იმ სოფელში საუკუნო ნეტარ ცხოვრებას.

საუკეთესო და ჭეშმარიტი რუსები, როცა მათ სურდათ სხვა აღმსარებელთა მოქცევა ქრისტიანობაზე არა მარტო სახელით, არამედ შემწეობითაც, მათ მოსაქცევად და ქრისტეს სწავლით მათ გასანათლებლად ირჩევდნენ უმთავრესად მათ სამშობლო ენას. ასეთები იყვნენ წმ. სტეფანე პერმელი, ყაზანის მღვდელთ-მთავარნი გური და ვარსონოფი, აღმოსავლეთის სიბირის სხვა აღმსარებელთა ქრისტეს სწავლით განმანათლებელნი მიტროპოლიტი ინოკენტი, მღვდელთ-მთავარნი ყაზანისა ანტონი და ვლადიმირი, ეპისკოპოსი უფიმისა დიონისი, მონა ღვთისა ნიკოლოზ ივანეს ძე ილმინსკი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გადაიცვალა, და სხვანი მრავალნი. მადლობა ღმერთს! ჩვენს ქვეყანაში დღესაც მრავალი სასულიერო და საერო განათლებულნი მოღვაწენი არიან, რომელნიც სხვა აღმსარებელთა შორის ამავე სახით მოღვაწეობენ.

მიაქციეთ ყურადღება, ძმანნო, ზემოთ დასახელებულ რუსეთის განმანათლებელთ და სხვა აღსარების თემთა კეთილის მყოფელთ, მათგან გადმოიღეთ მაგალითი, და ნუ გძაგთ, როცა ჩუვაშების ენაზე სრულდება ღვთის სამსახური და მოძღვრება; ნურც მე მაძაგებთ იმისათვის, რომ ღვთის-მსახურების დროს ვხმარობ ჩუვაშების ენას. თქვენ გაიგონეთ, რომ სამშობლო გასაგები ენა უპირველესი საშუალებაა, როცა გვსურს, რომ გაუნათლებელ სხვა აღმსარებელთა შორის გავავრცელოთ მართლმადიდებლობა, ამიტომ დაეხმარეთ აქაურ ჩუვაშებს, რომ მათ თავიანთ ენაზე მოისმინონ ღვთის-მსახურება და შეითვისონ ქრისტეს სარწმუნოება თავიანთ სამშობლო ენაზე; ამ სახით ისინი უფრო მჭიდროდ შემოუერთდებიან რუსებს. ღმერთმა ინებოს, რომ ქრისტეს სარწმუნოებამ მიგიყვანოს ყველა თქვენ ჭეშმარიტი ნათლისადმი. ამინ.

ამ სიტყვაზე ყოვლად სამღვდელო გურისაგან დასმულია შემდეგი რეზოლიუცია: „ლოცვა-კურთხევა ეძლევა, რათა ეს სიტყვა წარმოთქმულ იქნეს სოფელ პროლეიკის ტაძარში, მასთან გამოეცხადოს ამ სამრევლოს რუსებს, რომ, თუ ისინი ამ განმარტების შემდეგაც, თუ რა საჭირო და სასარგებლოა სხვა თემთა ენა ღვთის მსახურებისა და სახარების ქადაგების დროს, კიდევ გაბედვენ თავიანთი უკმაყოფილების გამოცხადებას, როგორი გზითაც უნდა მოხდეს ეს, განსაკუთრებით ჩუვაშების ენაზე ღვთის-